



თალია, სეხისმუნდო ბოლოს იმ დასკვნამდე მიდის, რომ ამ წარმავალ ქვეყანაში მაინც ზნეობრივ ცხოვრებას უნდა მიენიჭოს უპირატესობა „რადგან სიკეთე თვით სიზმარშიაც სიკეთედ რჩება“, მაგრამ ეს არ ანიჭებს ამ ფილოსოფიურ დრამას ოპტიმისტურ ელერადობას. მთელი პიესის მანძილზე საცნაურია კალდერონის პირქუში ფერებით შეფერილი საშყარო, თუმცა ჰუმანიზმის ზნეობრივი საყრდენები — კალდერონის აზრით — მაშინ ამოქმედდებიან, როცა ყოველი ადამიანი თავის თავში ჩაახშობს ეგოისტურ მისწრაფებებსა მაშინ ეძლევა მას შანსი იმისა, რომ იდეალური, პარმონიული ზოროვნების სისტულეს მიუახლოვდეს.

მ. წ.

„სელოვანება“ № 9-10 1992 წ.

პირველი მოქმედება

(მოგზაურ ქაბუჯად ადამკულან რობუტრა კლდის მწვერვალისა ვეშება).

აოსტაპრა

კედრო კალდერონი

**ცხოვრება
სიზმარია**

ესპანურიდან თარგმნა
დალი ინჟიკირაძემ

მომავლი პირნი

- როსაურა — მშვენიერი ასული
- სეხისმუნდო — პირნი
- კლოტალდო — მოხუცი
- ესტრელა — ინფანტა
- ჯარისკაცები
- კლარინი — მახარა
- ბასილიო — მეფე
- ასტოლდო — მერცხოვი
- მხლებალეაი
- მუსიკოსები

ჩემო წერანო, გმური დროვით.
ტოლს არ უდებდი გრიგალს ქროლვას.
აწ საით, ჩიტო, ფრთამოტეხილო,
კალმახო, ფარფლებშემოფდეთილო.
უწვრთნელო მხეცო, დაუგეშავო.
გზადახლართულო სულო ბედშავო?
ამ პიტალო კლდეს რა ენადღებო
შენი დაცემა და დამარცხება?
გზა დაასრულე ამ ღმრთაფებთ,
ვით ფაეტონმა ცეცხლის რაშებით.
ახლა ციკაბო, უღრანი გზებით,
წილად რომ მერგო განგების ნებით,
უიმედობით აზივდაშრტილი,
ძირს დავეშები ამ შთაგრეხილით.
კუშტ მწვერვალიდან — შუბლზე ღარებად
რომ შერჩინია მზის მცხუნვარება.
შენ, პოლონეთო, ვაგლახად შეშხედი,
სისხლის და ცრემლის ზღვა მიღვას ფერხობით,
რაწამს შევიცან შენი საზღვარი.
გულზე დამესო სევდის ლაბვარი.
ცხოვრების სიბრძნე გვასწავლის ყველას:
ამაოდ ელის ბედკრული შევას.

(შემოდის კლარინი.)
კლარინი

ორი ბედკრულია, პირზე იუ ითქვა,
მეც შემაწიე მართალი სიტყვა...
სახლს რომ ვტოვებდით, ერთი მითხარი,
ვინ გუაქვდა გვერდით სხვა გამკითხავი?
შარსა და ზიფათს არ დავერიდე.
ას ხათახალას გადავეკიდე.
ჭერ იუო — ეს მთა ამოვიარეთ.
ახლა ვეშებით სრიალ-სრიალიო —



სულის ამოთქმა აღარ მაცადე...
სხენების ღირსი შინც გამხადე!
როსაპარა

ნუ გიკვირს, კლარინ, ბედის მოწილე
ჩემს სამდურავში რომ გამოგწირე.
მხურს საკუთარი ტანჯვა იგლოვო
და ამ ჩივილში ნუგეში მპოვო.
ოხვრას სხვაგვარი გემო მქონია —
ფილოსოფოსებს ასე ჰგონიათ —
და ნეტარებას რომ მიეწიო,
უბედურება უნდა ეძიო.

კლარინი

აღბათ ეგ შენი ფილოსოფოსი
ბებერი თხა, ცეტი, და ლთოსი
მოუხდებოდა ფერდებზე კეტი...
ნუშც ღირსებია ამაზე მეტი.
ის ვთქვით, სენიორა, ჩვენ რა ვიღონოთ.
უდაბო შთაზე ვინ მოგვიგონებს
კლდებსა და ღრეში გზადკარგულებს?
ნახე, შვე უკვე ხაით წასულა!
როსაპარა

ბედავ. ფერდობზე შეუი რომ ფთქავენ?
წადონსურია უთუოდ ეს შთა
გონი მერევა, მატუტებს თვალი:
თითქოს ბინდ-ბუნდში ინთება ალი
და ხოცარი მოჩანს კედელი..

კლარინი

ღმერთია ჩვენი ბედის მუედელბ,
მერი გვექონია გაწადლებლი.

როსაპარა

ველურ ბუნებას შეგუებული,
რალაც კოშკია თვალშესახარი,
თითქოს მზის სხივიც აღარ ახარებს:
სათ კლდესთან შეზრდილ-შებერებული,
ხად მზეს ეკრძაღვის ღრუბელთ კრებული
სქპ ქვაზე ისე დაბუდებული,
ვით ლოდი, შთიდან დამკარებული.

კლარინი

აბა მივიდეთ და გავაკვიროთ;
სახწაულები მართლაც კარგია,
და სახწაულზე მეტიც იქნება
ხადმე ღვთისნიერ კაცის მიგნება,
ვინც შეგვიკედლებს.

როსაპარა

კარი ღიაა
— თუმცა ურჩხულის ხახას მიაგავს —
და ამ შავნელი მტერის წიაღით
შალე იშვება ღამის წუვდიადი.
(ჩაქვისი ქლარუნია.)

კლარინი

უფალო ქრისტე! ეს რა ხმა ისმის!
როსაპარა

გაგეყინება ძარღვებში ზისხლი!
კლარინი

ხომ გაიგონე ჩაქვის ქლარუნი?
პატიმარი ჰყავთ აქ დამალული!
შიში ვერ გვიხნის, რა გაეწუხა...
სენისმუნდო (კოშკშია.)

ვაიმე, ბედკრულს ვაი ჩემს ყოფას!
როსაპარა

რა მწუხარება მისი სიტყვები!
შისს აღარ ვეძებ... ცოდვით ვიწვები.
კლარინი

მეც უცნაურად შემოპერო შიშმა.
როსაპარა

კლარინ...

კლარინი

სენიორა...

როსაპარა

თავი დავისნათ,

ახლავ დავტოვით კოშკი წყეული,
ავი სულაია აქ დამწყვედილი.

კლარინი

თვითონ არ ვცდი, რა დამემართა:
აზრი და გრძნობა სად გამეფანტა...

როსაპარა

ოხლად კიაფობს მქრქალი ნათელა...
ფერგაცრეცილი მწირი ხანთელი
მიზნდილია და გულსაკლავი,
ვით მოწყვეტილი მწუხრის ვარსკლავი
და მით უფროა ეს სამყფელი
იღუმალი და შეუცნობელი.
ბედავ? ნახვრად ბნელში დანთქმული
ჭაცია ცოცხლად შიგ დამარხულს.

თუ არ მაცდუნებს შავი ქაოსი,
მხეციბ ტუავია მისი სამოსი...
მძიმე ჩაქვებით არის შეკრული
და იმ ერთადერთ ხანთელს შემურებს...
ხადღა წავიდეთ... დავუგდოთ უური,
რისთვის ისჯება ეს უბედური.
ააბრალო! გეხმის, რარგად შფოთავს?

(სულად განათებულ საყანში გამოჩნდება
ჩაქვებით დაბმული სეხისმუნდო, ნადირის ტყე-
ვით შემოსილი).

სეხისმუნდო

ვაიმე ბედკრულს ვაი ჩემს ყოფას!
მაუწყე, ცაო, შენი განგება:
რად გამოიწარი მე სიყმაველი,
ჩემი გაჩენით თუ გაგაწბილე,
მძიმე ცოდვაა, ჩანს, დაბადება;
ჩემებრ ცოდვილი თუკი გაჩნდება,
საფლავიც იქვე გაიჩარება:
მეტი სიმშბთლე რაღა იქნება:
მიტომ ბოზოქრობს უფლის მარჩვენა,
რომ ქვეყანაზე კაცად გარენა

მიუტყვებელ ცოდვად ითვლება.
შე რომ ნათელი გონება მქონდეს,
არას ვიოცებ, მშვიდად ვიძინებ —
მივხვდები შინც, რა ჩავიძინე,
— სულ რომ შეეშვათ გაჩენის ცოდვებს —
რა დავაშავე, მინდა ვრცოდე,
რადღა ვარ ასე გაწამებული?
ზღვა სულიერი დაბადებული..
რად დამაქელი მე, ღვთის გაჩენილს,
რასაც ფლობს ყველა სხვა დანარჩენი
არსი სიკეთემომადლებული?



რა მზეს იხილავს ნაზი ფრინველი,
 ფარჩა-ხვერდებს იცმევს ფრთოსანი,
 ედღმორითული, თვალსზივოსანი,
 ათასფერადი წმინდა ველისქ
 თვალისმომკრული და საკვირველი,
 ზეიპურება ცისაკენ, შვისვე,
 ლაფვარდს შეშხარის, გულს იხალისებს.
 არ უწყის ცრემლი და სინანული:
 მე რომ შთამბერე ცხოველი ხული,
 თავისუფლება რად არ მადირსუ?
 ველური მზეცი როცა გაჩნდება,
 წყალობის ნიშნად ცის ვარსკვლავები
 ქათიბს უშკოენ უცხო ხალხებით
 — ოსტატის ფუნჯი ეველაფერს სწვდება —
 მაგრამ ნადირთან ვინ რას გახდება?
 ადამიანის სუგუნურებამ
 დალი დახვია მზეციის ბუნებას:
 მარტო აღესიოდ გუმანს ინდობა;
 მე რომ შთამბერე მზურვალე გრძნობა
 თავისუფლება რად არ მადირსუ?
 თევზი რა არის — სუნთქვაც არ იცის,
 შლამია მისი აკვან-საფარი;
 ქერცლით ნაქედი ნავის აბარა,
 დაუდევარი, ცივი სიმჭირსტლით
 აედევნება ტალღების ციმციმს,
 ზღვას შერევა ზვირთის ძაბილზე,
 უძირო სიღრმეს გაითავისებს
 და სტიქიონიც არ ეურჩება;
 მე რომ შთამბერე ურუევო ნება,
 თავისუფლება რად არ მადირსუ?
 თუ ნაკადული დაიხადება,
 ბრძოლის შეფეებით გალაღებული,
 შეშხარის იმას ყვაილით ქრებული:
 ვერცხლის ზოლივით მოილაკნება,
 ხან ხალახზეში ჩაიკარგება,
 ხან თვალს შიპყრობს გადაშლილ სივრცეს,
 მის გახმულ რაკრკს მიდამო ისმენს
 და ხობტას უძღვინს თავდავიწყებით;
 მე რომ ამავეს უშრეტო ვნებით,
 თავისუფლება რად არ მადირსუ?
 სიშფარე მახრახობს.. თითქოს შედება
 ვულკანის ცეცხლი... ამ ყოფას მიჯობს
 შერდიდან გული ამოვიგლიჯო,
 ბოლოში დაფუნელი სისხლ-ნაფლეთებად.
 მძიმე სახელი რისთვის გვადება,
 რა შიზეზია, ასე რომ ვწვალობთ,
 რად არის კაცი ასე საბარალო,
 ზეცამ რა ნიშნით გამოარჩია?
 ანდა ისეთი რა გააჩნია
 ტყის ნადირს, ფრინველს, თევზსა და წყაროს?

როსტაპრა

ამ აღსრულებამ ჩამწყვდიტა გული
 და ამიშალა ათხი დარდი.
 სანხისმუნდო
 გურს ვინ მიადება? შენ ხარ, კლოტალდო?
 ძალბრინი (როსტაპრა).
 მღ გახლავარ-თქო...
 როსტაპრა

ტანკული სული,
 მგზავრი, საწურორმოძულეული!
 წამით ჩავუქრდი ამ ქვა-ლოდებთან
 და შემომემა კაცის გოდება.
 სანხისმუნდო (ხელს სტატეხს.)
 ჩემზე სიტყვა რომ არ დაგვდეს სხდმე,
 ჯღაფე სიკოვლეს გამოცხასალმებ
 და საიდუმლოც შენთან მოკვდება.
 სხვა საფიქრალი შემოგვლია
 და ჩემი კირის გაბდი მკითხველი?
 შუაზე გაგვლექ ჩემზე ხელით.
 ძალბრინი
 ურ ვარ და სიტყვაც არა მმენია,
 თუ დამიჭრებ...

როსტაპრა

კაცი თუ ჭკვია,
 მზადა ვარ შენს წინ დაეშხო რიდით;
 თუ რამ შეგცოდე, გამოვსივდი.
 სანხისმუნდო
 გული მომიღბო ტკიბილშა პაქუშმა,
 შენმა იერმა გამიქრო რისხვა
 და სათოო ქცევით მეს დაამაშვიდე.
 ვინ ხარ? თუშეცა ვარ ბედით წყურული,
 ქვეყნის ავ-კარგი მე არ მახარებს,
 უშეუ აკვნად და ბნელ სამარედ
 ჩემთვის ეს კოშკი გადაქცეულა;
 გაჩენის დღიდან — ან იქნებ სულაც
 არ გაჩენილვარ — ამ კლდის 'გავცქერი
 და არ შინახავს სხვა არაფერი.
 ვათენ-ვაღამებ გმინვით და ოხვრით,
 სულდგმული მკვდარი, სნეული ჩონჩხი,
 კაცი კი არა — ცოცხალი მტერი.
 არავინაა, რომ შეშეხიტვოს
 მარტო მოზუცი, წარსშეუბრელი,
 ჩემი წამების მოწვე უცვლელი,
 დაშხედავს ბოლმე... და ის მომიტრობს
 ცახსა და ხმელზე; მგონია, თითქოს
 დაფარული ვარ საზარი ქერცლით.
 ან ვარ აჩრდილი სახეშეშლილი,
 ადამიანი, მზეცთან შეზრდილი
 და კაცთა შორის ველური მზეცი.
 თურმე ეჩვევი უბედურებას:
 საკნიდან ვუშრე რედა-სმეყაროს,
 ამ სილამაზით ვცოცხლობ და ვხარობ;
 მინდა შევიცნო მზეცის ბუნება,
 ჩავწვდე ვარსკვლავის დიდებულებას,
 ცის საიდუმლოს, ჩიტის გაფრენას..
 ფუჭრით შევძარი შიწა და ჯენა,
 შენ ერთს გაღელვებს! ჩემი ჩივილი,
 შენ გამიქარვე გულისტკივლი,
 დამიტკე თვალნი და ყურთასშენა.
 შენთან შეხვედრამ ამავეს შევნით...
 მაგრამ წამისწამ უფრო ცხადია,
 რომ შენი ცქერა გულით მწაღია,
 რაც მეთად გაცმე რა და გაკვირდები.
 სიკვდილს და ნუგუშს ერთად მპირდება
 ეს ავბედითი, უცხო სახმელი,
 თუმც ვარ უღვივი სიშფრის მნახველი;



და აღსარულმა თუ დამაცალა,
 ბოლომდე შევხვამ შე ან საშალას,
 რაკი მწყურვალსაც სიკვდილი შელის.
 ღამის ცქერაში სული დავლიო,
 აღარ დავეძებ სიმართლის ცოდნას:
 თუ ეს ხილვაა სიკვდილის ცოდვა,
 განშორებაში რაღა მადლია?
 ან სიკვდილამდე როგორ დავლიო
 რისხვა, ელდა და გულისტკივილი?
 სიკვდილი მიჯობს... მკაცრი სიფრთხილით
 აგონია ხვედრი, უფალი!
 ყველა უბედურს სიკაცობით წყალობ
 და ქუდებდინას ებრძვი სიკვდილით.

არისსაშარა

რაც თვლით ვნახე და გავიგონე,
 საოცარია და გულსახედიქი...
 არაფერს ეკითხავ... ან რა მეთქმის:
 რით შეგწიო, ან რა ვიღონო!
 ადამიანი განგებას პონებს
 და მიჩანს, როგორც ზეცის წუგეში
 ჩვენი შეხვედრა ამ უღრან ტყეში.
 ღმერთმა ისმინა ჩემი ვედრება —
 უბედურს ტანჯა უნახევრდება,
 სხვას თუ ახილავს უმძიმეს დღეში.
 ერთი ბრძენკაცი, ბედს შემოაწყურაღს,
 გაბრუნებულა წუთისიწუთით:
 დასწვია სარჩო — საბადებეღლი...
 მაღალი გახდა მისი საჯვალე,
 ჩოდა თურმე სასოგამქარალი:
 თუაო ქვეყნად კაცი ისეთი,
 საჯარდო არ ქონდეს ბაღაბის მტერი?
 გზად მოსროლა ბღუჯა ბაღაში,
 მგვრამ მოვიდა ვიღაც გაბაბი
 და აიტაცა საჯარდო იმედით...

სოფლის სიკეთე არც შე მიგრძენია.
 ვუვდრი განგებას, შარტოშენილი.
 ბედის სიმუხთლით გზისაყდენილი;
 ჩემს სამღურავშიც იცვ სიბრძენა:
 ჩემებრ ბედკრული ვერგინ მიცენია.
 შენ დამიბრუნე აწრის სიკვდილად
 დხინი ყოფილა, რაც განვიცადე
 მშურად იტვირთე ჩემი სასჯელი,
 შენ უმწარესი გერგო სასმელი
 და კურთა თქენაც შენ დაიქალე.
 ჩემი წუხილი თუ განუგემებს.
 ყური დამიგდე, და რაც დრტისთვის
 შეტისმეტია, შენ აღწულადებ.
 სახელად მქვია...

კლოტალდო (სვენის მიღმა.)

აქო, გუშაგნო.

მხალნო, ძიქუშმა როგორ წაგიღოთ...
 თქვენი წყალობით ორი ქაშუში
 ციხეში მაღვით შემოპარულა!

არისსაშარა

ესეც ახლი უბედურება!
სახისმშუნდო
 ეგ კლოტალდო, ციხის უფროსი.
 ახალ სატანჯელს თუ მიშადადებენ..

კლოტალდო (სვენის მიღმა).
 ჩქარა, ხედიდან არ გაგვიფრინდენს!
 ვიდრე გაქვითვთ თავს უშველიდენს,
 მოპკლეთ. ანდა ცოცხლად მომგვარეთ.
 ყველანი (სვენის სტორმიდან.)
 ღალატი, ძმებო!

კლარინი (მცველებს მიმართავს.)

დალოცვლებო,

თუ შემოგვიშვით, ახლა მოდით და
 დაგვაპატიმრეთ! რაღას უდგებართ,
 ამას რა დიდი ფიქრი სჭირდება.
 (შემოდის კლოტალდო დამბაჩით ხელში და
 პირმეტურული ჭარისკაცები.)

კლოტალდო

სახე არავინ გამოაჩინოს:
 რაც მოავარია, კარგად ვახოვდეთ.
 ვიდრე აქა ვარო, ძე ხორკეული
 მრ უნდა მიხედოს ჩვენს ვინაობას.

კლარინი

რა ვარნავალი გაუმართათ?

კლოტალდო

გესმით, რეგვენო. ფარულ ზონაში
 აღალებედე რამ შემოუხეტო.
 შეღაბთ ჩვენი ზღაღე-საღედები,
 შეფის სიტუვასაც არ დაეროდეთ.
 რომლებს თანხმად აკრძალულია
 იმ საოცრების პირისპირ ხილვა.
 რომელსაც ეს კლდე წლობით იმარხავს
 ახლავ დაგვწებდით, განიამაღდით,
 მარა და ჩემი დამბაჩის ლულა
 რკინის გველივით გამოაფურთხუნებს
 შხამით გაუდენთოლ ორ საშუი ტყვიას
 და ელვა ბერს შეაზანჯარებს.

სახისმშუნდო

მტარვალო, საკნის მულთმშუთავა,
 ამით თუ დასჯი. ან შეურაცხედე
 ამ უბადრუკი ჭრდმუხის ლუქაზე
 იქცევა მაშინ ჩემი სიკაცხეცე:
 ღმერთს გეფიცებო. კბილდობით დავღრღნი
 საკუთარ სხეულს, ფრჩხილით დავიღვეფ,
 მაგ ორის მოკვლას არ დავანეტებ
 დეხსენს, ვიდრე შენც არ გაგწარე!

კლოტალდო

შენ საყუთარი უბედურებაც
 ვერ შეგიტუთა ვერ, სხისმუნდო.
 სიც არ იცო, ზეცის კანონქო
 აბადებამდე რომ მიიცვალე!
 იმდენს თუ ხვდები. ეს საპატრიო
 მაგ თავგახული გულწვიადობის
 ახალგამავად რომ მოგისაქეს.
 თუ იცო, ახე რისთვის გაგკოჭებს,
 რაღას ბოზოქრობ? ჰერი, გუშაგნო,
 უჭრი ჩარაზეთ; ვიწრო საკანში
 შეაგდეო იხვე.
 (სვენის კარს ეტავენ, შიგნიდან სეხისმუნდოს
 ხმა ისმის.)

სახისმშუნდო

ვფიცავარ ზეცას.



სწორად იქცევით. თავისუფლებას
რომ არ მანიჭებთ: გოლიათივით
დაგეროდით, ქვის საძირკველზე
იასპისაგან მთებს აღმარაკედნი.
ემშას ქვისაგან გათლილი შუბით
მზეზე სარკეებს მივლენ-მოვლენწი.

კლობალდო

მოდა, ეგ მთები რომ არ აღმართო,
შავი დღეები უნდა იომინო.

როსაპურა

ამაყი კაცი არ გვყარებია.
რად არ გეახელ მუხლმოდრეკილი
და მოჩიღებით რად არ შეგხოვოვე
ჩემთვის სიცოცხლე გებოძებინა.
ქვისგან თუ არ ხარ გამოკვეთილურ
გულმოწყალებას მოვუხმობ შენსას
და სიამაყეს თუ არ დაინდობ,
თვინიერებამ მაინც მოვალბოს.

კლარინი

თუ სიამაყე არ გვარის შენზე
და არც სიმდაბლე — ამ პერსონაჟებს
მისტერიაში ხან მოიხმობენ,
ხანაც უკანვე მიაბრძანებენ —
არც ამაყი ვარ, არც თავმდაბალი,
ორივე თვისებას ვლბობ სანახევროდ.
შუა კიბე ვარ კაცურ წენობის,
გთხოვ გვიმფარველო და შეგვიწყალო.

კლობალდო

ოპო!

ჯარისკაცები

უფროსო...

კლობალდო

ორთავე ახლავ

გზნობადღეს და გაარბიღო
აჭაურობას თკაღაბეუღლი.
გზა-კვალი რომ არ დაიმახსოვროს.

როსაპურა

გნებდები... დაშნაც შენ გამომართვო,
მხოლოდ შენა გაქვს ამის უფლება.
რადგან ამოთში ჩანხარ ყველაზე
აღმატებული; დავაშავებდა,
უღირსისათვის რომ გადამეცა.

კლარინი

სულ უკანასკნელ ნაბიჯთანაც
დაფუთობ ჩემსახ... ამა, წაიღე!

როსაპურა

თუ უნდა მოვკვდე, შენ გასახსოვრებ,
ჩილდოს მოგაგებ სიკეთისათვის,
ასე მგონია, ეს იარაღი
ღირსეულ პატრონს შენგოდა ერთ დროს;
შენც გაუფრთხილდი თვალისჩინივით
თუმცა ვერ გეტყვი დანამდვილებით
რა მისწობაა აქ დაფარული.
მაგრამ ეს დაშნა უცხოდ ნაქედი
იმარხავს რაღაც იღუშალებას,
და პოლონეთში როცა მომქონდა,
მწამდა: მახვილით შურს ვიძიებდი
დამცირებისთვის.

კლობალდო

ღმერთო, დამიხსენ,

სახსურალია რა არ გადაშნა,
რამდენ ვაებას შეშუარა ზედმა,
ჭირი და შფოთი აღარ მეღვევა).
ვის გამოართვი?

როსაპურა

ქალმა შარქა.

კლობალდო

რა ჰქვია იმ ქალს?
როსაპურა
არ შემიძლია
ამის გაზებლა.

კლობალდო

მაშ ის მოთხარი,

საიდან იცი, რომ ეს მახვილი
საიდუმლოთი არის მოცული?

როსაპურა

ვინც ეს გაღმომცა, პოლონეთის გზაც
მან მომსწავლა და თან მიჩრია:
„იქ გონივრული, მარჯვე საბაბით
ვცადე, დაშნას თვალი შეავლონ
სამეფო კარის დიდებულებმა;
მათგან ერთ-ერთი დანამდვილებით
ხელს გამოგიწევდის და გიმფარველებს“:
ცოცხალი თუა. ისიც არ ვიცი,
რადგან სახელი არ დასჯდენია.

კლობალდო

(ღმერთო, თლიერო, ამას ჩას ვისმენ

ჩერაც ბოლომდე ვერ შემიგნია,
საშინელება, თავს რომ დამატუდა,
მოლანდება, თუ სინამდვილე,
ეს ის დაშნაა, ნაწ ვიოლანტეს
რომ ვუსახსოვრე ერთი პირობით:
ვინც იმას წელზე შემოირტყამდა,
მოვალე ვიყავ, შეგებებოდი,
ვით საყვარელ ძეს ღვამლი მშობილი
და ვით ძე — მამას. თაყვანისცემით.
რა გზას დავადეგე მე უბედური,
როდესაც თავზეცა ჩამომეშხო,
სახედნიეროდ ნაპოვნმა დაშნამ
უნდა შუის ნათელს გამოასალმოს.
ჩას იფიქრებდა, სიკვდილმისივლი
თუ წარდგებოდა მამის წინაშე?
... რა მწარეა ბედის დაცინვა!
რა მუხთალია წუთისოსელი!
ჩემი შვილიც და ეს ნიშანიც,
და გულიც ამის შემომალადებს;
მისი შემეუფრე, განწირულივით
ფრთხის აფართქლებს, რა კი არ ძალუძს
ეს საკეტები რომ დაამხვროს;
როგორც ტუხალი გამოშვებდეთლი,
ქუჩიდან მომსკდარ თვილ ხივილზე
გაცეცებული სარკმელს ეცემა,
ხაბარაღ გულიც, დატყვევებული,
უცხო ხმაურის გაგონებაზე,
სიმწრით აწყდება თვალის ბუდეებს,
მკერდის სარკმლიდან ამოფრენილი



ცრემლის ტალღად რომ გადმოიღვაროს,
 რა ვქნა? უფალო, შენ გამოიკითხე!
 როგორ მოვიტყე? მეფეს გადავცე,
 ჩემივე ხელით სიკვდილს მივკვარო?
 არა და მეფეს როგორ ვუმტყუნო?
 თუ არ გავაშხმელ, აქ რაც შემემთხვა,
 ფიცის მგზობელი უნდა დამერტყვას!
 მძიმე ტვირთია მშობლის ვარაზი
 და ერთგულება მეფის წინაშე.
 ან აქ საეკუო რა უნდა იყოს?
 ხელმწიფის ერთგულს არაფრად უღირს
 სიცოცხლე, გინდაც პატიოსნება.
 ერთგულება სჯობს ყოველ ღირსებას!
 აქ ჩამოსულა, მოძალადეზე
 შურისძიება რომ აღასრულოს:
 ჩანს, უღირსია, თუ დამცირებს.
 ჩემი არ არის, არარა სცნობა
 სახელოვანი წინაპრებისა.
 მაგრამ ჰიერი თუ გარდუვალაია.
 ვის შეუძლია იმის აცდენა?
 ოზობას ქსელით არის ნაგები
 კაცურ ღირსების მჩატე ბუხულა.
 სულის შებერვით ჩაიფურება,
 წაშში გაქრება, კვამლის სვეტივით.
 სხვა რას იწამდა, ამაზე უფრო
 კეთილშობილი რომ უფიცილოვო?
 უცხო მხარეში გადმოიხვეწა
 და დასდო თავი სახელისათვის.
 ჩემი შვილია, ჩემი სისხლ-ხოცრცო,
 თუკი ასეთი გამხედავია;
 ათანაირად ავწონე, მაგრამ
 მინც ერთია გამოსავალი:
 ვეტყვი მეფეს, რომ ჩემი ვფიჟა,
 და რომ სიკვდილით უნდა დასაჯონ.
 იქნებ ინებოს და შეიწყალოს,
 რაკი პირნათლად ვემბაზურები;
 და თუ სძოცხლზე შევუნარჩუნე,
 დავეხმარები, შეურაცმეყოფელს
 რომ გაუსწორდეს; მაგრამ თუ მეფე
 სიკვდილს მიუჯის, რადგან შენდობა
 მას არ სჩვევია, ისე მოკვდება,
 მშობლის სახელსაც ვეღარ შეიტყობს.)
 უცხოედებო, მე გამომეყვით!
 გულს ნუ გაიტებო, გაჭირვებაში
 თქვენც გამოგჩინდეთ იგებ მშველელი;
 მაგრამ ცხოვრება ბეწვის სიდაია:
 სიკვდილ-სიცოცხლის ამ ბრმა კიდილი
 ვინ იქის, ძღვევა რომელს დარჩება.

(ყველანი გადიან.)

(ხელმწიფის სასახლე. ერთი კარიდან შემოდის ასტოლფო, ჯარისკაცების თანხლებით, სხვა კარიდან — სეფექლებით გარემორტყმული ესტრელა; უკრავენ მუსიკას.)

ასტოლფო

ორმა კომეტამ ოქროს თასებით
 შემოგვაფრქვია ღვთიური შუქი.
 ჩვენც შევეგებოთ მათ აღტაცებით,
 ვღერს ათას ხმაზე დაფადავი, ბუკი.

ბროლ-შადრევენები, ფრინველთ დახები,
 გვირგვინო მთელი მანდილოსნების,
 ყველა სულდგმული შენ გემონება,
 შენ გიგალობენ ზეცის მგოსნები,
 უელმოვერცხლილი იადონები
 და სხაწკრიალა რკინის ფრთოსნები:
 მქუბს ზარბაზნები, ჩემო სენიორა,
 დედოფლის გულს გასახარადა,
 ცის ფრინველთათვის შენ ხარ ავრორა,
 საყვირი გვამცნობს, რომ ხარ პალადა,
 ყვავილთა ჯარი გიწოდებს ფლორას.
 შენს წინ ფერს იცვლის დღე სხივანოელი,
 უკრავს ღაბის შუქით მძლეველი.
 ციკრის ღვთაებაც, ყვავილო ველის,
 ხარ, ვით პალადა, შეურყეველი
 და ჩემი გულის მეფე უცვლელი.

მსტრელა

კაცის სიტყვა და მისი მეობა,
 ერთი რომ იყოს, არ ირჩეოდეს,
 მაშინ წყალწყალა ენაშუგობით
 აშოად აღარ დაიღლებოდი.
 მიკვირს, უაზრო პირმოთნობა
 რატომ სჩვევიათ ადამიანებს?
 დაუფარავად გამოგიტყდები?
 მე ეს სასტიკად მაღოზიანებს:
 ხან გულს მიწუხებთ ქება-დიდებით.
 ხან გულცივობით მანაღვლიანებთ.
 განა იქნება მერტი ღალატი?
 მარტო ღვთისმგზობელს, ურცხვს თუ შეშენის,
 ვინც ზუკვარია კუბოს კარამდე,
 დაშქრულ სიტყვებს აფრქვევდეს ენით,
 გულში კი ჩუმად დანას მალავდეს.

ასტოლფო

ვიდრე სიმართლე, არ გამოკვეცა,
 გულუბრყვილობით ნუ აჩქარდებით:
 თვითონ უამია ახლა თავდები,
 რომ ჩემი სიტყვა საქმედ იქცევა.
 მაშინ, როდესაც მივე ამ მიწის —
 ეუსტორბო მესამე მოკვდა
 და ხასილიო გახდა მკურობელი,
 ორი და ეხვა სამეფო მოდგმას:
 ჩემი და თქვენი ღვიძლი მშობელი
 ღმერთმა აცხოვოს. ის და, რომელიც
 აწ განისვენებს, კლორიდენა,
 დედათქვენი და ჩემი სიდედრი,
 ვარსკვლავთა რიგედ ვის მომფენია
 შარავანდედი მისი წილებედრი...
 სამეფო შტოში, როგორც მსმენია,
 უფროსი ქაილის თქვენი ხართ ასული;
 უმრწემესი კი — სიბრძნით ცნობილი
 რებისმუდა, სიტურფით სრული,
 დედათქვენი კეთილშობილი,
 დედგარემლიც იყოს და კურთხეული.
 მოსკოვიაში გათხოვდა იგი!
 იქ დავიხადე, თუ გავიხსენებთ,
 რაკილა ითხოვს მსჯელობის რიგი,
 რომ ხასილიო, ხელმწიფე ჩვენი
 განწირულია უამის სიფლადით,



უკვლავ შეტად ერთი მიტაცებს —
 შორსგაშედეგარი მათემატიკა;
 მისი წყალობით დაგვტყუებ დრო-ფასს,
 წარვსტაცე დიად მარადისობას
 ვველა უფლებად-დანიშნულება
 და დღე სიახლით აღარ მარცხებს:
 საქმარისია ნუსხას დავხედო,
 რომ გამოვიცნო უკვლა ცვლილება
 თვითონ მოპავალ საუკუნეთა;
 დროს აღარ შესწევს იმის უნარი,
 რაც ადრე მოთქვამს, ის გამიზნო
 თვითონ დაფარულ დასკოთა წყება,
 ეს გამჭვირვალე მარმეზა სივრცე,
 განათებული მზის ბრწყინვალეობით,
 ნამგალა მთვარით გადასერილი:
 აღმასისაგან თლილი ხფერონი,
 და ამ აღმასის წიგნის ფურცლებზე,
 შემოჭარული ვარსკვლავთა გუნდით
 და მოკაფე ცეცხლის ნიშნებით. —
 ეს არის ჩემი შეცნეობა,
 უბერებელი სიბრძნე ცხოვრების;
 და ამ აღმასის წიგნის ფურცლებზე,
 ამ ვარსკვლავეთის ციფერ დავთრებში
 ოქროს ხაზებით ამოტიფრულა
 კაცის ზედ-იღბლის საღებურები —
 მარტო ცამ უწყის ჩვენი წილხედარი
 სიკეთე, ანდა უბედურება.
 მე მათ ვკითხულობ ელვის სისწრაფით
 და სულის ქროლვით ავედევნები
 იმათ უჩინარ დინება-ციმციმს,
 იმათ გეზსა თუ ფარულ ნაკვლევს
 თვითან ასე განსაზღვრა ზეცამ
 ჩემი გონების დანიშნულება:
 მაღალი სივრცე უნდა მეკვლია
 და ამომეხსნა უკვლა წერილი.
 რატომ ადრევე არ შეიწირა
 განგების რისხვამ ჩემი სიცოცხლე...
 არ გავხედებოდი მრავალტანხული
 მოწმე თთხი საშინელების;
 რადგან ღირსება უბედურათვის
 სახიფათოა, როგორც მახვლი,
 ისევე, როგორც განსვლელთა
 დამღუპველია სწავლულისაოცრება
 რა გავაგრძელო... საქმარისია.
 გაიბოთ ჩემი შწარე ცხოვრება,
 მაშინ ირწმუნებთ საკვირველებს...
 ახლა კი ისევ სიჩუმეს ვითხოვ.
 ჩემსა მეუღლემ, კლორიდემ რომ
 გაუხარელი ვიქი დაბადე,
 თუკი რამ სჭირდა ცას ხაოცრება,
 იმ ძეობაზე გადმოაჟიკვია.
 ჩერ არ ეხილა უმარცხეს მზის სხივი,
 არც კი გაუკროდა მშობლის წიაღის
 ცოცხალ სამარეს — რადგან სკვდილი
 და დაბადება მხვავსი არიან, —
 როდესაც დედის ერთი ჩვენება
 აუკვირბა ცხადად თუ სიზმრად.
 ამის ზოდვდა დაუსრულებლად:

თითქოს საზარი ბავშვი-ურჩხულდი
 გაათრებული წიაღს უფრთხა
 და ერთიანად სისხლი დანთქმული
 მშობელს სიკვდილით აზღვევინებდა
 ქოჩხეთური გველის გაჩენას.
 მშობიარობამ რომ მოაწია,
 ასრულდა ავი წინათგარძნობანი
 — რადგან ამქვეყნად არაფერია
 სისხსტიკეზე უფრო ნამდვილი —;
 და შორსკოპიე შავ დღეს გვეჭამდა:
 სისხლში ნაფერი მეწამული მზე
 გაავებული იწვევდა მთვარეს
 ხახედისწერო ორთაბაძოლავა:
 სამარა ლელოდ აქცია მიწა
 ამ ღღათებრივმა ორმა მნათობმა,
 შავრამ პირისპირ კი არ შეხმულან:
 ელვას უშენდენ ერთიმეორებს.
 მოხდა ისეთი მზის დაბნელება,
 როგორც ზეცას არ მოსწრება
 მას აქეთ, რაც მან სისხლის ცრემლებით
 გამოიგლოვა ქრისტეს სიკვდილი;
 ცეცხლის ენები მოედო მნათობს
 და ზანძრის ალში იბუგებოდა,
 თითქოს ბობოქარ გულწვიადობით
 ეშურებოდა სულის აძნედას.
 შავმა ბურუსმა მოიკლა ზეცა.
 გრგვინვა და ზათი არუცხა კედლებს,
 ლოდების წვიმად მოსკდენენ ღრუბლები,
 მოჩქეფდენ სისხლის მდინარეები.
 სიკვდილს უხმობდა მთელი კლანდობა,
 განკითხვის დღესთან შევიდებულნი...
 და სეხისმუნდო ვით წუბკლა ზეცის
 და უფლის რისხვა, თავზე დოგვტყუა,
 სიცოცხლის ფასად უღირდა დედას;
 ამ ხაზარ მხვერპლით თითქოს გვაუწყა,
 არ გადავლო მე ადამის წესს
 და გოვლავთ ბოროტს სიეთისათვის.
 მაშინ მოვუხმე საკუთარ ცოდნას
 და უკველივმ დამიდახტურა,
 რომ სეხისმუნდო იმ გულწვიადობით
 უკვლა მოკვდავზე ამხედრებოდა.
 და რომ უწყალო ბატონიშვილი
 გადაქცეოდა სახტიკ მომარქად.
 მის ზედმწიფობას ზედ მომყვებოდა
 მუდმივი შუღლი, უსამართლობა.
 გაუტანლობას დაბთენდა ხალხში,
 ძეგლს დაუდაგამა მათეორებას.
 მერე კი შმაგი გაბოროტებთ,
 შიშით და მხვერპლით გაბრუებული,
 ჩემს სიცოცხლეზეც ხელს აღმართავდა:
 მაძულებდა ქვედამშობლი
 — შიფრბთაქვე ვგადებულავი
 — თუცა შწარე ამის გამხელა —,
 მოხუცი მამის თეთრი თმაწვერი
 ხალიჩასავით რომ გაეთელა.
 ვინ არ ირწმუნებს სიფათის ძალას,
 თუ დავიმოწმებს უბედურებას
 მეცნიერება, რომელიც საზღვრავს

შენი ცხოვრების დანიშნულებას?
 და შეც მივიღე ეს გაფრთხილება.
 რაკი განგებაშ თვიონან გამანდო
 საბედისწერო ველახდობით —
 რა სატანკველიც უნდა მრგებოდა.
 ერთი გზა იყო: გამოშეკტა
 ახლადშობილი ველური მხეცი
 და ჩემი სიბრძნით წინ აღვდგომოდი
 ციურ ვარსკვლავთა გამოცდილებას.
 ხალხს განვუცხადეთ, რომ უფლისწული
 ვერ გამოვგლიჩეთ სიკვდილს ბელიდან...
 მიუვალ კლდეზე ურმისთვის ფარულად
 შალღი ცოჭვი ავაგებინე;
 არა თუ მოკვდავს. თვიონან შინს სხივსაც
 გაუჭირდება ღმის მიგნება,
 იხე დცავენ ყველა მისადგომს
 ქოუხის შყაცრი კობელისკები.
 გამოვაქვევინეთ განქარგულიც
 და დავაწესეთ მძიმე სასწაველი
 ყველა პირთათვის, ვიცე კი ოდესმე
 ამ აღთქმულ საზღვარს ფეხს დაადგამდე.
 ასე დაფარეთ ის საიდუმლო,
 რუმელსაც დღეს აქ ფარდა ავხადე.
 სხვისმუნდო კი იქ არის ახლაც,
 გლახაკი, შწირო, დატყვევებული:
 კლოტალდოს გარდა სხვა არავინ ჰყავს
 მნახველი, ანდა სიტყვის გამცემიც.
 განათლებასაც მისგან ღებულობს —
 ის აზიარებს ცთოლიკურს
 სარწმუნოების ქეშხორტებას —
 და ეს მოწმელა უქარვებს ტანჯვას.
 სამ ამოცანას უნდა გაუძღვე:
 ქერ ერთი, ერი პოლონეთისა,
 ჩემგან სიურმიდან გადმერთებული,
 აუტანელი ჩაგვრისგან ვისნა
 და ტირანს მონად არ გაუზნადო:
 პრ ეკადრება სვიან ბელმწიფეს,
 თვისი მამული და იმპერია
 განსაცდელისთვის გამოიმეტოს.
 მეორეც ის, რომ ნებას არ მამღევს
 ქრისტიანული გულმორწყალება,
 გავწირო ჩემი სისხლი და ბორცი
 და ჩამოვართვა ღვითთ და კანონით
 მომადლებული ყველა უფლება:
 რადგან არც ერთი კანონის ძალბით
 არ შეიძლება მისი შენდობა,
 ვინც მოძალადის ახალაგმავად
 თვითვე მიმართავს ძალმობრობას.
 ბოროტი თუა ჩემი მეგვიდარე
 მე არ შემშვენის ბოროტებითვე
 ღვკვეთო მისი დანაშაული.
 და საბოლოო, მესამე სიტყვეში
 ჩემი შეცდომა უნდა ვამხილო:
 მავს ვიტყუებდი, ავი ნიშნები
 ქეშხორტებად როცა მივიღე;
 კეთილზნაინი მართლაც არ არის,
 მანკიერება მოსდგამს ბუნებით,

მაგრამ წენ იქნებ სულ გამოცვლიდა,
 რადგან ყველაზე უღვთო განგება,
 თვით სტიქიონზე მძაფრი ბუნება
 და უმკაცრესი ბედის ვარსკვლავი
 მიმართულებას შეურუევს ნებას.
 მისი შეცვლა კი არ შეუძლია.
 ბევრი ვიფიქრე, ეს თავხატები
 რომ ამომგხსნა, და საბოლოოდ
 მოვძებნე კიდევ გამოსავალი.
 რაც დაგამუნებთ და გაგაოცებთ.
 ხვალ მოიყვანენ აქ სხვისმუნდოს
 — ასე უზმოზენ მეგვიდარეს ჩემსას.
 რომელსაც დღემდე არ შეუტყვია,
 ჩემი ძე თუა, ანდა ბელმწიფე —
 ტახტს მას გადავცემ ამიერიდან.
 ჩემს პალატებსაც; დაისკუთრებს
 და ჭაუღდება ქვეყნის ბედ-იბაღს,
 თქვენ კი, ერთგულად ყუბა შეზღვიეთ
 და შორჩილება გამოუცხადეთ:
 სამი წარბავა აქ დაფარული
 და იმედი მაქვს, ამ ჩანაფიქრით
 სამივე კითხვას პასუხს მივაგებ.
 ერთია, სიბრძნით თუ გაიბრძება,
 დინჯად, სიქველით, გონიერებით
 თუ გააქარწყლებს ვარსკვლავთა მიერ
 საბედისწერო სიყრმის ვანჩენს,
 თქვენც იამაყეთ კანონიერი
 ტახტის მეგვიდროთ, რომელსაც ადრე
 კლდეები ჰყავდა კარისკაცებად
 და ტუის ნადირნი — ტოლ-შეგობრებად.
 მეორე: თუ ის ბრმა სითავებდით,
 შეუპოვარი გულწვიადობით
 გამოამულავნებს ველურ ბუნებას
 და ავკაცობას დაეწაფება,
 შეცოდინება — მოვალეობა
 პატიოსნებით რომ აღვასრულდე;
 და მეფურ სიტყვას არ ვუღალატებ.
 როცა მოვაკლებ ყველა ღირსებას,
 რადგან საქაწიო თუ დავაბრუნებ,
 კი არ დავჩაგრავ, არამედ დავსჯი,
 მესამე: თუკი ჩემი მეგვიდარე
 ამ უკანასკნელ გზას დაადგება, —
 ვხანლო, თქვენი სიუვარულისთვის,
 ეს ბელმწიფობაც, სკიპტრაც, გვირგვინიც
 ღირსეულთათვის დამილოცნია:
 ორივე დისწულს მეფედ ვაქურბობებ,
 წმიდა კავშირით შეერთებულებს;
 მეუღლეობის ურყევი წესით
 გვაოორკეცებ იმით უფლებებს
 და კუთვნილ პატივს ასე მივუწლავ.
 ესა თქვენი მეფის ბრძანება,
 მშობლის მუდარა შევილის წინაშე,



ბრძენკაცობაგან მოძღვნილი რჩევა,
 მოხუცებულის წრფელი ნუგეში:
 და — თუ ესპანელ სენეკას სიტყვით.
 უოველი მეფის დანიშნულება
 არის ხალხის და ქვეყნის მონება. —
 უმორჩილესი მონის ვედრებაც.

ასტორლფო

მე უნდა გავცეთ ალბათ პასუხი —
 ქველას სახელით ვითხოვ, ხელმწიფეც:
 ზვალდე ეჩენოს ხალხს სებისმუნდო.
 შენს შვილს თავდები აღარ სჭირდება!

ქველანი

მოგვეცით ჩვენი ტახტის მემკვიდრე
 და პოლონეთის მეფედ აკურთხეთ.
ბასილიო

მადლობელი ვარ; გუშუვას მიქარვებს
 ეგ თანაგრძნობა. ახლა კი დროა,
 ჩვენი სამეფოს ორივე ბურჯი
 პალატებამდე რომ მიაცილოთ.
 ზვალ სებისმუნდოც აქ დაგხვდებათ.

ქველანი

ვაშა ხელმწიფეს, დიდ ბასილიოს!
 (ყველანი გადიან.)
 (ვიდრე მეფე გავიდოდეს, შემოდინ კლოტალდო,
 როსაურა და კლარინი; მეფე შეყვინდება.)

კლოტალდო

ნება მომეცით, გითხრათ...

ბასილიო

კლოტალდო!
 მართლაც რომ კარგ დროს გამოგეცხადე.

კლოტალდო

სასიკეთოა ყოველი წამი
 შენი ხილვის და თაყვანისცემის.
 მაგრამ ამჟერად ჩემმა იღბალმა,
 სახედისწერო შემთხვევითობამ
 ფერი უცვალა ამ ჩვეულებამ
 და სიხარული გლოვად მიქცია.

ბასილიო

რა ამბავია?

კლოტალდო

უბედურება
 დამატყდა, ნენიორ, ეს რომ მომხვლოდა
 სხვა დროს და სხვაგვარ ვითარებაში,
 ნეტარებისგან ცასკ ვეწეოდი.

ბასილიო

განაგრძე.

კლოტალდო

გეტყვით. ეს ახალგაზრდა,
 უცნობი თავზე ხელაღებული,
 კოსმეი შეიკრა. სენიორ, და ბრიყვმა,
 დატყვევებული პარინცი იხილა,
 მაშახადამე...

ბასილიო

არაფერია;

არ დაგიმალავ, სხვა დროს რომ გეთქვა
 მსგავსი ამბავი, გულს მომიკლავდი;

უკვე ზაქაროდ გამოგეცხადე
 ეს საიდუმლო და არ დავებძე.
 რა ამ ქაბუცსაც ეცოდინება.
 მოგვიანებით მომინახლდე:
 ბევრი სიახლე უნდა გაუწყო
 და დავლებაც მოგვე საშური:
 პირდაპირ გეტყვი: შენ უნდა იყო
 იმ უდიდესი ამბის მესაკე.
 ჩერ რომ სამყაროს არ მოსწრებია.
 ამ ტუხლებს კი — რომ არ ეგონოს,
 თითქოს მათ ვსჯიდე შენი შეცდომის
 გასახწორებლად — ვთავისუფლებ.

(გადის.)

კლოტალდო

მრავალჯამიერ, ჩემო ხელმწიფეც!
 (ცა სასიკეთოდ შემოტრიალდა.
 აღარ გავუშხელ ჩემს ვინაობას.
 რაკი შევიძლე მისი გამოსნა.)
 მოხეტიალე მოგზაურებო,
 მეფემ შეჰინდოს.

როსასურა

თაყვანისცემით
 მუხლზე გემთხვევინ.

კლარინი

თუ არ მიწყენენ
 შენი ფეხები, თაყვანისცემას
 ჰაეროვანი კოსმა მერჩია.

როსასურა

სენიორ, სიცოცხლე შენ მომანიჭე:
 შენი წყალობით მიდგია სული
 და სიყვდილამდე შენი ერთგული
 მონა ვიქნები.

კლოტალდო

განა იმ ჭილღოს.
 მე რომ მოგვეცი, სიცოცხლე ეთქმის?
 კეთილშობილი სისხლი რომ გპოვდეს.
 ვერ აიტანდი შეურაცხყოფას!
 როგორც თავიდან გამომიცხადე.
 აქ იმისათვის გადავთხვეწილხარ,
 შეურაცხმყოფელს რომ გაუსწორდე.
 თუკი სიცოცხლით დაგსაჩუქრე.
 სად დაგჩა, რატომ თან არ იახლე?
 უღირსისათვის ის არ არსებობს!
 (იქნება დარდით უფრო გამხნევდეს.)

როსასურა

გამოგიტუდები, არ გამაჩნია
 სიცოცხლე. თუმცა შენგან მივიღე:
 უნდა სასტიკი შურისძიებით
 ჩამოვაშროო ბიწი ღირსებას!
 და განსადეღლზე გამარჯვებულ
 ჩემი სიცოცხლე ისევ იქცევა
 შენგან ნაბოძებ ძვირფას საუნჯედ.

კლოტალდო

ეს დაშნა იუოს შენი მეგზური,
 გამომიძლია ჰირში და მართლაც
 საიშედოა: მტრის ავრს არ გაქმევს,
 შეიღებება იმისი სისხლით;



ჩემუღოა ეს იარაღი
 — იმ საათიდან, რაღა თქმა უნდა,
 დატყვევებულმა რომ ჩამახარე—
 ეს დაგიფარავს.

როსსაპარა

შენი სახელით

წელზე შევიხავ მას ზღმეორედ
 და ეს მახვილი იუოს მოწამე:
 ახტერ ძლიერიც რომ იუოს მტერი,
 არას შეეუნდობ.

კლკტალღო

მაშ ძლიერია?

როსსაპარა

უძლიერესი. სახელს არ : გიტყვი,
 თუშე არ გაკლია ბრძნული სიურთხიდე
 და უფრო დიდი საქმეც გაჯანდე...
 იქნებ მიტყუოოს ამ აღსარებაშ
 და სულ დამეშოს ნუგეში შენი
 გულმონყაულებიშ

კლკტალღო

სახელს თუ შეტყვი.

ჩემს გულს მით უფრო მოინადირებ:
 თორემ გზა-კვალი თუ დამიხლართე,
 მტერს შევეწივი ჩემს უნებურად.
 (როგორმე უნდა დავაცდენინო!)

როსსაპარა

მინდა დარწმუნდე, რომ შენი ნდობა
 დასაქარგავად არ შემეტება:
 იცოდე: ჩემი მისისხლე მტერი
 ასტოლფო არის თვითონ პერცოგა
 მოსკოვიისა.

კლკტალღო (თავისთვის)

ღამის დამარხობს

ბასრმა ტკივილმა... რას ვიფიქრებდი,
 თუ ასე ღრმაა ჩემი ტკივილი.
 უმჯობესია, საქმეს მივხედო.
 (ხმამალა.)

მოსკოვიაში დაბადებულხარ

და კიდევ გიკვირს, შენმა პატრონმა
 შეურაცხყოფა როგორ ცაქადრა:
 როგორც მოსულხარ. ისე გაბრუნდე,
 და ეტ ხიწარები, შენ რომ გეწვია,
 ხამარადეამოდ გადაიფიყე.

როსსაპარა

შერი რა მოხდა, პრინცი თუ არის:
 შე მაწყენინა...

კლკტალღო

შენი პრინცია,
 და შეუძლია თუნდაც სახეში
 სილა გააწნას. (მოი, ზეტაო!)

როსსაპარა

ჩემმა მოვალემ შეტი ცაბედა.

კლკტალღო

მითხარი... მაგრამ, რასაც შე ვეცვობ,
 იმაზე შეტი რა უნდა მითხარა.

როსსაპარა

უველაფერს გიტყვი... ვერ გამოგია,
 მონუსხულივით რატომ შეგუტრებ,
 რისთვის შეგხარი უსაზღვრო ნდობით
 და სასოებით გეშორჩილები...
 მიმიძის და მაინც გამოგიტყუებო:
 გამოცანაა ჩემი სამოსი.
 შე ის არა ვარ ვინაც გგონივარ,
 თვითონ განსაქე. ვინ უნდა ვყო,
 თუკი იერი გამოვიცვალე
 და თუ ასტოლფო, ჩემს საჯალალოდ.
 აქ ჩამოსულა ესტრელას გულის
 მოსაპოვებლად. შეტს ნულარ მკითხავ...
 (როსსაპარა და კლკტალინი გადიან.)

კლკტალღო

საით? შეჩერიღო, ყური დამიდე!
 შექმულეწველ ლაბირინთებში
 მოექცა უცებ ჩემი გონება
 და აღარ ვიცი, რას ჩავვიდო.
 შელახულია ჩემი ღირსება.
 მაგრამ ამ მტერთან რა შემიძლია?
 შე — ვასალი ვარ, ეს კი — ქალია!
 თვითონ განგებას გაუპირდება
 ასეთი საქმის გამობრუნება.
 ჩოჩხეთივით დახლართულია
 შთიღო ამხავი, ციურ ვაქეთხვამ
 თითქოშქს სამუარო მოაქადვო.

მეორე მოქმედება

(ღარბაზი სასაბლეში. შემოდინ მეფე ბასი-
 ლოი და კლკტალღო).

კლკტალღო

ყველას მოვუხმე და აღვასრულე,
 რაც დამავალე.

ბასილიო

რაო, კლკტალღო,
 გამაგებინე, რა მოაგვარე.

კლკტალღო

საქმე მართლაც რომ ქარგად აეწყო:
 ძილის წამალი მოვიყვდიღი —
 ოღონდ, წინდაწინ როგორც მიხრძანი,
 მაგულდაგულოდ შეწავებული
 სხვადასხვა ჭურის გრძნულ ბალახით,
 რომელიც კაცზე სწრაფად მოქმედებს
 და იღუშალი ძაღლის წყალობით
 ეღვისებურად უბზობს გონებას,
 აბრუებს ტონს და თავსაც ავიწყებს,
 ისე, რომ ცოცხალ გვამად იქცევა —
 რადგან სამსალამოკიდებული,
 მოკლელბულია სიცოცხლის უნარს,
 აღარც ღონე აქვს და არც შეგნება...
 აწრი არა აქვს ბის მტკიცებას,
 სინამდელია ეს თუ ზღაპარი —
 რადგან ცხოვრების გამოცდილებამ



უკვე მრავალჯერ დაგვიდახტურა,
რომ შეიღიწინა ფარდა ახადა
ბუნების ათას საკვირველებას
და არ არსებობს დედამიწაზე
მცენარე, კენჭი, ანდა ცხოველი,
გამორჩეული ნიშან-თვისება
რომ არ მოსდგამდეს; და თუ მოკვდავის
ბუნება გონებას აღმოაჩინა
ისეთი შხამი, კაცს რომ სიცოცხლეს
გამოსახლმნებს, სულ ადვილია.
იმ წამლის ძალა ისე შევზღუდოთ,
რომ სასიკვდილო ნაწივის ნაცვლად
საძინებელი ფხვნილი მივიღოთ.
ახეთ დროს ექვცი რომ დაგებდოს,
ჯობია, გულთან არ გაიკარო —
ძველი ხერხია, მამაკაური,
მრავალჯერ საქმით დამოწმებული...
თან გავყოლე მე ის სახმელი —
ხაშხაშით, ბანგით, თრიაქის წვეთით.
ლენცოფას შხამით შემზადებული —
და ჰეხისმუნდოს საკანში შევედ;
ტკბილი საუბრით შევიყოლიე;
შებედე — შეოქი, დედაბუნება,
ენთ უთქმელი, გულუხვი სიბრძნით
როგორ გამიდიდებს უკვლადღიურად;
რა ღვთებრივი უბრალოებით
გაზიარებენ ჭეშმარიტებას
ლაყვარდი ზეცა, მთის მწვერვალები,
ტყის ცხოველები და ფრინველები.
და რომ ამერთო იმისი სული
მალად მიზნისთვის, როგორც მიბრძანე,
შოვებენ კიდევ მისი გუნების
შესაფერისი განსჯის საგანი;
სულდგმულთა შორის არწივს ვუქებდი,
ქართველებით გაღაღბული
ცას რომ მიპაობს თავაწყვეტილი
და უზენაეს სამფლობელოში
ცეცხლის სიშხად აელვებული
მზრწყინავ კომეტად გადაიკეცვა.
შოვინადირე ამ აღმაფრენით
და ეს ვუთხარი: „სხვა წენ სჭირს-მეთქი
ფრინველთა მეფეს, ტოლი არა ჰყავს,
ყველა თვისტომი მას ემონება“.
ვიცოდი, მიწას რომ ვეწოდე;
საქმარისია, იმის ღირსებას
შევეხმანო, ფერი ეცვლება,
წვიადი ფიქრი მოქალეხა:
ეტყობა სწახლი მოსდგამს ისეთი.
გმირობისაკენ რომ მოუწოდებს
და წააქეზებს დიად საქმისთვის.
„შე რა შეთქმისო“ — ახე მომიგო.
„თუკი ბუნებით ლადი ფრთოსნებით
მორჩილებისთვის იხადებოან
როცა შევეუბრებ იმათ ბედი-იღბალს,
ჩემი ტყვილი არ მაგონდება;
მაგრამ, იცოდე, მოძალადეა,
ვინც დამიშონა; რადგან ამქვეყნად
არ მეგულდება ისეთი კაცი.

ნებით დამადგას ქედზე უღელი“
მივხვდი, ტუვეობის გახსენებაზე
წაქიდებოდა მძიმე ნადვლი...
არ დავაყოვე და მივაწოდე
სხვებ ფილა: შეხვა თუ არა,
საღათას ძილმა ხელი დარია
და დაეცვარა მთელი სხეული
მსუსხავი ოფლის ხშირი წვეთებით.
შევგრწუნდი, თუმცა მოჩვენებითი
ნიღაბი იყო მისი სიკვდილი.
ამასობაში (განდენ მსახურნიც,
ვისაც მიახდე საგულდაგულოდ
ამ დიდი საქმის დაგვირგვინება,
მძინარე ეტლით გადმოიყვანეს
და მოათავსეს შენს პალატებში.
იქ ყველაფერი წინდაწინ მორთეს
თვალისმომჭრელი დიდებულებით.
როგორც შემფარის იმის წოდებას.
შენს საწოლზე, მისვენებულ,
ვიდრე ის ქაღო არ განედება:
თანამხად შენი (განკარგულების,
ყველა შუად არის, პირისც ემხაბუროს,
როგორც აქამდე შენ გმსახურებდნენ.
და თუ უსიტყვო მორჩილებისთვის
წყალობა გინდა შემომთავაზო.
ერთი თხოვნა მაქვს — თავებდობაში
ნუ ჩამომართმე — გთხოვ გამიშვილო:
რა მიწეწას, რომ სეხისმუნდო
დღეს სასახლეში გადმოიყვანე,
ან ეს სიფრთხილე რამ გაიფლავა?

ბასნილი

მესმის, კლოტადო, შენი წუხილი
და ეგ ექვები რომ გაგიფანტო.
მეც გულმსივნიდებს საგაზიარებ.
შენ კარგად ვახსოვს, ჩემს სეხისმუნდოს
გაჩენის დღესვე ბედის ვარსკვლავმა
რა საზარელი ზვედრი აღუთქვა:
მსურს შევაშოწმოს ის შორისკობა,
თუმცა ნიშნები უტყუარია
და არაერთხელ გვიჩვენა წეცამ
თავის ურუყვი ძალმოსილება
წყვეთილი მოდგმის განდგურებით —
იქნებ შეცვალოს ეს განაჩენი.
შეგვიმსუბუქოს მძიმე სასჯელი,
იქნება სიბრძნით, სულიწიქი სიშხნეით
ჩვენც გავუშვალავთ უბედურებას;
კაცი ვარსკვლავზე ღონიერი.
ჰოდა, აქ მსურდა მისი გამოცდა;
მინდა ვიცოდე: მოსდგამს თუ არა
მეფური სისხლი; აქ გამოჩნდება
მისი ნიჭი და მიდრეკილება —
თუ სულდგმულია, დეი იმეფოს;
მაგრამ თუ ცივი განუწყველობით
თვისტომს ქალაქად მოვეკლინება,
ისეც საკანში უყოფნა მოუწყვებს.
შენ აღბათ გიკვირს, შვილს თუ გამოწმებ.
რა შუაშია ძილის წამალი,
ან შენიღბული მოგაწარება...

გეტყვი, რა არის ამის მიზეზი:
 ახლა რომ ვუთხრა, ვისი შვილია,
 ზვალ რაღას იზამს ბორკილგაყრილი
 ისევ საკანში თუ გაიღვიძებს,
 დარდით მიწასთან გასწორებული,
 რა მწუხარება ელის სახარალოს,
 თუ ძველ ცხოვრებას დაუბრუნდება —
 ეცოდინება, პრინცი რომ არის
 და რა აცოცხლებს, რა ანუგეშებს?
 სხვა ჭეა არ არის, ეს ბორკიტება,
 ამ ხერხით უნდა ჩამოვიცილო:
 დაე იფიქროს, რომ ყველაფერი
 სიწმარში ნახა. ორმაგ საწაფელს
 ვიწვი ამით: უფრო ადვილად
 ჩაწვედები შვილის ნაღვივლ ბუნებას,
 როცა უეცრად გაღვიძებულ
 ის: აღარაფერს დაერიდება
 და გაამუღვინებს თავის ხსიათს:
 მეორედ, ტანჯვას შევუშვებუქმებ:
 ძალაუფლებით გაღვიძებული,
 მოულოდნელად საპურობილში
 გამომწყვდეული თუ აღმოჩნდება,
 ეს ყველაფერი დამეხიზმარო,
 ასე იფიქრებს, და არც შეცდება:
 რადგან ამსოფლად ჩვენი ცხოვრება
 ცრუ სიწმარია, ჩემო კლკლადლო

კლკლადლო

დაგარწმუნებდი, რა ამოა
 ეგ შენი გარჯა. მაგრამ რაღა დროს,
 უკვე ამ საქმეს აღარაფერი
 არ ეშველება! რა ხდება იქით,
 რა ამბავია? გაღვიძებია,
 ხენიორ, და ჩვენკენ მოეშურება.

ბასილიო

მე ახლა წავალ, შენ, ვით მომტკბობ
 წინ შეიგებე, — დაბნეულობამ
 არ შეიწიროს; დააძლიერე
 მტანჯველი შიში და შეეცადე
 ჰემშარბიტბა მკუავეს მეგზურად.

კლკლადლო

მაშ, შემიძლია დაუფარავად
 ვუთხრა: სიშარბით?

ბასილიო

ხელს არ შეგიშლი;
 ნუ დაუშალავ, რა დღეც მოეღებს:
 აწონ-დაწონის საშიშროება —
 იქნება აცდეს უბედურებას?
 (გადის, შეინდის კლარინი.)

კლარინი

(ვიღერ ხელიდან დაუხსნებლობდი,
 ოთხეტი გადამკრა წყება დარაქმა!
 იარაღითაც შემოქრებოდა
 და ქურთუკიდან ამოქაჩული
 წითური წვერით გულს მიღონებდა.
 საქმეს ადგილზე უნდა მივბედო —
 ხათადარიგო დაწვერვისათვის
 ყველაზე ხანდო ის ხარკმელია.)

რომელსაც ცაცი თან დაატარებს,
 უფასო ზემის რომ არ დააქლდეს.
 ვინ რა უნდა თქვას, დღესასწაულზე
 ხალხს სახიროდ თუ ეჩვენება
 დატაკი, თავზე ხელადებული.)

კლკლადლო

(აგერ, კლარინი, ჩემი ბედკრული
 ქალის მსახური დმერთო, მიხსენი
 მთელს პოლონეთში გამოშავენა.)
 კლარინ, რა არის თქვენკენ ახალი?

კლარინი

ხენიორ, მითხრეს, რომ შენს მოწყალებას
 განწარახული აქვს, შური იძიოს!
 ესეც გავიგე, როსაურასთვის
 კახის ტარება გიბრძანებია.

კლკლადლო

ეგრე აჯობებს, მაგისი ქცევა
 ქარაფშუტობად რომ არ ჩათვალოს.

კლარინი

სოლომონ ბრძენმა, ახლა სახელიც
 გამოიცვალა: მთელს პოლონეთში
 როგორც შენს მისწულს, ისე იცნობენ.
 სასახლის კარზეც მიღებულია:
 ბრწყინავს ესტრელას სეფეკალებში.

და ცის განაჩენს ზიჯლით დასცინის, რადის უყურებ: დატოვე კოშკი. მიენდო ხალხის ძალმოსილებას, კვლავ ლიდგინე მეშვედერება და გამოსტაყე ტირანს გვირგვინი. შენს დასაცავად ამ უდაბნოში ურიცხვი ქარი შემოკრებილა: ამბობებულნი და უქონელნი ნიშანს ელიან; თავისუფლება კარზე მოგადგა; გესმის მისი ხმა?

სემინს მიღმა

ვაშა, დიდება პრინცი სენისმუნდოს! სმენისმუნდო

ცამ დამიფაროს! რად შაბიძულებთ ავყვე ცდუნებას და ყაიხს დიდებას სიზმართან ერთად გამოვესალმომ? ხელახლა გინდათ, რომ მოშალანდოთ თვალისმომჭრელი უცხო სამყარო და წაშში ასევე ნისლიდ აქვიოთ? აღარ მიზიდავს ეს უგემური, ხიჯათი ხავსე ძალბუფლება, წამის მოგება პირმოთნეობით, თავაწიანი ნიღბის ტარება... არამი შორედ ვეღარ ავიტან: დიდ აღსრულდის, რაც მიწრია; ცხოვრება ჩემთვის ამიერიდან ეტრია, ლანდი, ფუქი წანანა; ამაოდ ცდილობთ, მოკლული გული გამოგონილი ხიტუვით და საქმით ამბიცხოველოთ; თქვენ კემშარბიტი

ხმა და სხეული არ გავაჩინათ, ვიღას სპირდება ეს სილიადე. მწლეთამძლეობის შარავანდედი და ეს ბრკუვილა ხანახაობა, თუ უნაზისი სიხს შერბევებ სუყველაფერი ფერფლად აქცევა? ნუშის უყავილიც ახე გილიმის განთიადისას; მაგრამ, ვაი რომ მოულოდნელად გაიკრცება, კარგავს სინორჩის მომხიზველობას; ხავერდის ბუტო კენება და კვდება. გიცნობთ, აჩრდილო, თვალს ვერ ამიხვევთ: თქვენ მხოლოდ იმას მიეხლებით. ვინც ღრმა ძილშია; მაგრამ, გაფრთხილებთ; ჩემზე არ გაკრის ეს ჯალთკრობა: ერთხელ მოკტუვდი და უკვე მიხვდით. რომ სიზმარი მთელი ცხოვრება.

მომრე ჯარისკაცი

ჩემმა ნათქვამმა თუ დაგაცევა, იმ ქედს გახედ... მთების კალთები მოფენილია ხალხის რაზმებით... იქ მოგედლიან ჩვენი მომენი, რომ მორჩილება გამოგიცხადონ.

სმენისმუნდო

ეს ყველაფერი სადღაც მინახავს, ისე გარკვევით და ისე ნათლად, როგორც არ სურათს ვუტყერი ახლა: მაგრამ სიზმარი გამოდგა ბოლოს...

მომრე ჯარისკაცი

ნათელშიხვენი ადრევე სცნობენ დიად საქმეთა მოახლოებას და მგ სიზმარიც დღისთავან არის.

სმენისმუნდო

რა კარგადა სთქვი: ნათელშიხვეა და უსათუოდ ამისრულდება. მეტად მოკლეა წუთისოფელი, მაშ, სული ჩემო, კვლავ მივიძინოთ; ჩლონდ, აქერად განსჯას მოვუბნოთ: სიფრთხილედ გვმართებს, რადგან ყოველ წამს გამოვლიძებას! უნდა ველოდეთ: ვინდოთ საკუთარ გამოცდილებას და ქვეყნის ბრუნვას ნუ გავიოცებთ, რა განსაცდელიც არ უნდა შეგვხვდეს. ჩვენვე დავცინოთ უბედურებას თუკი წინასწარ გავცადინება. ვალად რომ გვადევს ამქვეყნიურ ყველა სიყვით და რომ სანაცვლოს მოეღის მადლის მომნიკებელი. ოთხივე კუთხედ გვა გავკვებნება. — ჩემო ვახანლო, მაღლობას გწირავთ ერთგულებისთვის. მე ვეჟაკობას არ დაგჯარდებით, თავს არ დავწოგავ, გადამთიელის მონობისხვან რომ გამოვიხსნათ... საქმეს მიხვდით. მსურს დამაჩემზე ადვილრო ხმალი და სამართალი მოკითხო ზეცას. მალე იხილავთ იმას ჩემს ფერბით... (ნეტავი, ადრე არ გამეღვიძოს



და ეს ქადილი სიტყვად არ დარჩენს.)
უველანნი
 ვაშა, დიდება პრინც ზუბინშუნდოს
 (შემოდის კლოტალდო.)
კლოტალდო
 რა ყვირილია, რა უნდა ამ ხალხს?
სენისმუნდო

კლოტალდო
კლოტალდო

სენიორი
 (თავისკევის.)
 ჩემზე აპირებს
 ჯავრის ამოყრას.
კლარინი
 (შევიწრება...)

ცხელ გულზე ზევში გადაუძახებს.)
 (გადის.)
კლოტალდო

შენს დიად ფერბთა უღირსი მტერი,
 ვნებდები, სიკვდილს არ გავექცევი.
სენისმუნდო
 აღსდგ, მშობელო, გზა დამილოცე,
 შენ ხარ ვარსკვლავი მანათობელი,
 ძლივით შემოსე ჩემი საქმენი,
 გადამეხვიე, ჩემი სახარალო
 ყრმობის; ნუგეშო...

კლოტალდო
 რაო, რას ამბობ?
სენისმუნდო
 ძილმა შემიპყრო... და მინდა ძილშიც
 სიკეთე მწამდეს, რადგან სიკეთე
 თვით სიწმარნაიც სიკეთედ რჩება.
კლოტალდო

თუ სიკეთეა შენი ალაში,
 ნურც მე შემრისხავ კეთილ წრახვისთვის,
 სყან სამართალი და შემეწყნარე.
 მამაშენს ომი გამოუცხადე!
 მე ჩემს ხელმწიფეს ვერ ვუღალატებ.
 საქმით და რჩევით ვერ შეგაწევია.
 გთხოვ, მოწყალეობა გამოიმეტო;
 აქვე მოშკალი.
სენისმუნდო

გაწყემო, ფილო!
 მაინც არ იშლი მუხანათობას...
 (სიღარბასდღე თუ ერ მოვიხმე,
 სიწმარნი ისევ გამიფრინდება.)
 შესაშურია, კლოტალდო, თქვენი
 შეუპოვრობა. წადით მეფესთან.
 ბრძოლის ქარცეცხლში კვლავ შევიყრებით.
 ამბობებსულწო, შეიარაღდით.
კლოტალდო

ათი ათასქერ მუხლზე გემთხვევი.
 (გადის.)
სენისმუნდო

აჰა, მეფობას ვეწიოთ, ბედო:
 ნუ გამაღვიძებ, თუ სიწმარია,
 თუ სინამდვილედ — ძილი დამიფრთხებ.
 ერთი ფასი აქვს ცხადსა და სიწმარს...

ცხადში სიყალბეს ნუ გამოვიჩინო.
 სიკეთით ვძლიოთ სმაოებებს;
 და თუ დიდება სიწმარს გადაწყვა,
 ერთგულთა შორის გამოვიდვიძოთ.
 (ყველანი გადიან, მოსიშის დაფდაფის ხმა.)
 (შემოდის მეფე ბასილი და ასტოლფო.)
ბასილირი

ჩემო ასტოლფო! მე ეს არ მჭერა:
 სობძნეს არ შეაწევს ისეთი ძალა,
 წინ რომ აღუდგეს უბელო მერანს.
 ან კლდის მდინარეს ფერი უცვალოს.
 მოვარდნილ მეწყერს რა შეიჩრებს?
 მაგრამ სტიქია უფრო უწყალო
 თვითონ ხალხია — წარბუხებელი,
 შეუსმენელი და გაუწყვრთნელი.
 ორად გაიყო სამეფო მთელი:
 ნახევარ ლაშქარს ასტოლფო უნდა,
 სხვანი აქებენ პრინც სენისმუნდოს...
 გუგუხებს მთა და ხანს აღდგეს ველი.
 ცუდად ჩაივლის ეს საშინელი
 წუველა-მუქარა; ღამის დაჯრმუნდო,
 რომ ისტორიას წაშლის წყვადიად,
 მცირე დრო დარჩა ტრაგედიამდე.
ასტოლფო

ღრმა მწუხარებამ გადააბიჯა
 მოშავლის ნუგეშს; ვკარგავ დიდებას.
 კურთხეულ ნებით რომ მომინიჭე...
 მაგრამ, მახვილქო ვინც დამიხვედნა,
 მზეს დაუბნელებ და დავამიწებ —
 სისხლით მოვიშკი მეფურ ღირსებას;
 მომგვარონ ცენი; შედგარი იელით
 იღვას გატყორცნი მებთამტრქვეელი.
ბასილირი

ბედზე დანდობილს ხშირად იმეტებს
 ვანგების ძალა, სვე უღმობელი:
 რაც ავირიდე, ეს მერგო ბედად,
 უირთა თქმით გავხედი უირთა მფლობელი.
 აი, უცილო კანონთა სვეტი
 შენთა ბრძენთა დამამობელი:
 დავლუპე, რისი ხსნაც დავაპირე,
 ჩემი მამული მევე გავწირე.
 (შემოდის ესტრელი.)

მსტრელია
 ჩქარა აღსდგე წვიადი რისხვით,
 დროზე მოიხმე, ხელმწიფე, ქარი,
 თორემ სამეფოს გათელავს წიწლით
 ამბობებსულთა შმაგი ლაშქარი,
 მოედნებს, ქუჩებს წაღვავს სისხლი,
 მა, მეწამული სჩქვეს ნიაღვარი
 და ეს მორევი აღუბლისფერი
 სასაკლაოა მშობელი ერის.
 იავარქმინილი ქვეუანა გოდებს,
 უბედურება ქარზე ჩქარია,
 ყველა სახლიდან წარი გამოდის,
 მზეს გათენება არ უხარია;
 სამარის ქვა უოველი ლოდი,
 უოველი ბუჩქი მგლოვიარება,
 ყველა თალია — საფლავის კარი,



ცოცხალი ჩანები — კვლეა მხედარი.

(მემოდის კლოტალდო)

კლოტალდო

**ქვემო, ხელზე გამოვასწარი
ბასილიო**

**სოქვი, სეხსმუნდომ რა გადაწყვიტა?
კლოტალდო**

ხალხი მძინვარი და უმეცარი.
კოშუში შეიჭრა და ამ საქნიდან
დაიხსნა პრინცი. ზეიმიო მთვრალი,
ურცხვი რაზეთი ეშვება მთიდან:
პირისპირ შეხმას არ ერიდება:
ჩემკენ არისო ბესმარიტბა.

ბასილიო

მოჭვარტ ცხენი, ჩემივე ხელით
უნდო დავსაქო ძე უქეთური;
ქვეყანას სიბრძნით ვერაფერს ვშველი
და სამართალი ფოლადს შემეყურებს.

(გაღის.)

მსტრელო

შეხთან ვიქნები მე განურელი.
როგორც ხელონა, მარსის შეგზური;
არ ჩამოვრჩები ფეხმარდ ქალადას.
გწამდეს მეფეო. არ გიღალატებ!
(გაღის. გაისმის დაფლადის ხმა.)
(ჩემოდის როსურა და კლოტალდოს გზას გა-
დაულობავს.)

როსბაურა

მხარე ქვეულა საომარ ლელოდ.
ქვეყნის მოზარი არ სჩანს არავინ
ვიცი, გინთია გულში ვარამი
და მაინც შენგან მოველი შველას.
დამცილებული და უხედური,
აქ ვეძიებდი მწარე სიმართლეს,
შენ სასოებით გზა გამინათე,
სიტყვად აქციე საქმე მფურჩი.
ნუ მკითხავ, დღემდე როგორ გავქილი:
მუდამ შახსოვდა, რაც დამავალე,
ძველი იერი გამოვიცვალე,
ღრმად დავიშარხე ძველი ნადველი.
ასტოლფომ მნახა... არ ვებრალევი,
ჩემი ღირსება ფეხქვეშ გათელა —
შეზინდებისას ელის ესტრელას
სახალის ბაღში; გემუდარები,
ავაკობაზე აღმართე წელი;
ამ განალებით გახსენე ტიშკარი,
შენ დაუბნედე ორგულს ცისკარი
და მომავორე ეს სატანჯველი.
თავს დაატეხე უწყალო ნება,
ნუ გაცუდდება შენი შარქვენა,
დღეს დახსრულე შურისძიება.
ჩემი სახელის გადასარჩენად.

კლოტალდო

ძე მაგონდება ტანჯული წაში,
როცა შინიდან გამოქცეული
ჭირს გამოგტაცე, ბედით ძლეული —
შენი ცრემლია ამის მოწამე.
მე შეგიჩიე მოკაწმუნ — ბა,

ვაეურად ჩაცმას გადაგაჩვიე;
თავს მოგაბრვედნენ აღრე თუ გვიან
მსუბუქ საქციელს და უგულუობას.
რა გზა, რა ხერხი არ მოვიგონე,
რომ აღმედგინა შენი სახელი:
თუშვა სიბერემ დამრია ხელი
და ქაბუკურად არ მერჩის ღონე,
ასტოლფომ მოკვლა მეწადა გულით,
ცხადია. ამას ვერ გავხედავდი.
ცხადია. ამას ვერ გავხედავდი.
მეფე რომ იოს მირონცხებულე.
განზრახვას კიდევ ავასრულებდი.
მაგრამ განგებას სხვაგვარად სურდა:
როცა გამწირა მე ხეხისმუნდომ.
ასტოლფომ მიხსნა ღრმა ერთგულებით.
უაზრო სიკვდილს არ შეუშინდა,
პრინცს გადაუღდა ხმალამოწველი.
თავს არ ზოგავდა ის დალოცვილი,
თითქოს სწოცხლედ ჩალად უღირდა.
საქიოდან გამომარბუნა,
სულზე მომისწრო მე ის სიკეთემ...

სიკვდილისათვის ვერ გავიმეტებ.
ვინც მე სიცოცხლე შემინარჩუნა.
ორ ცეცხლს შუა ვარ, გონდაბნეული,
და აღარ ვიცი, რა მოვისაზრო,
მე მოგანივე სიცოცხლე, მაგრამ
სწვევის წყალობით მიდგია ხული.
რა საქციელი შემეფერება?
იმას ვუბადლი, შენ მებრალევი.
შემკენ მეწვევა გულმოწყალება
და იმისკენ — მადლიერება.
ისე აეწყო გარემოება.
ვერ გავუსწორე თვალი მოუვარეს.
სიკეთის ნერგი ვერ გავხარე
თვითონ დამიწხო მე სასოება.

როსბაურა

ვისაც ღირსება უღვასქ რავიბად
და სიამაყეს არის ჩვეული.
სიბრძნით, სიუხვით გამოჩრეული —
სხვის მოწყალებას არ დახარბდება.
თუ ამ საზომით განსჯი ცხოვრებას,
მადლიერება ვერ განუგეშებს
რადგან წყალობა — სულს აუხეშებს
და რასაც ვასცემ, ის მოგვკრის შვებას,
დიდსულოვნება, ვერ დაგიმომწებს.
ვინც შენი ხვედრი გაინაწილა —
თვითონ ამალდა, შენ დავამცირა!
მე შეგავედრე ჩემი სიცოცხლე,
სიმდაბლისაგან მე დაგიფარე —
ნულარ მისტრი იმის სიქველეს.
ვინც შემოგწირა მოწყალე ხელით,
მე რომ მიბოძე, ის საჩუქარი
გმირს არ შეშვენი სახამადლობელი:
შურისგებისთვის გაიღე მსხვერპლი,
მადლიერება აქციე ფერფლად,
იყავ გულთხი და უღმობელი.

კლოტალდო

სიმაღლით უფალს თუ შეიედრება.



ვისაც უპურია სიუხვის თახი;
 მაგრამ ვინც იცის სიყვითის ფახი,
 უმადურობას არ დასწერდება.
 არ გავწყვეთვარ ხელგაშლილობას,
 კეთილშინილი მითომ მიწოდეს,
 შადლის ჩიგებაც დროზე ვიცოდო,
 ვით ეკადრება ჩემს გაზრდილობას.
 სხვათ. სიყველე შენთვის ფარია,
 თუ განსადელო მოგეძალდება;
 ვადას კადადაც. ვულმოწე აოჯბ...
 სიუხვესავით საქებარა.

როსსაპურა

ოუწეა სიკოცხლე შენ მსწეალოს
 და მამანტუ კეთილდღეობა.
 არაფრად მიღის ეტ შეწეობა —
 მკვდარია ჩემი ემეწილქალობა.
 რა დაგიმადლო, ისიც არ ვიცი,
 ასეთ სიკოცხლეს სიკვილს აღრიან...
 თუკი ღირსება არ გამაჩნია,
 რის მაქნისია სიკოცხლის ნივი?
 თუმც იმას მადლი დაუთესია,
 ახლოღოს ვალი ნუ დაგაღონებს;
 სიკოცხლება გთხოვ და მოგაგონებს:
 სიუხვე — ახერ უკეთესია!
 ვიდრე ცოცხალი არ გეგულები,
 მოვალეობა ჭერ დიითინი;
 დიდხულოვნება გამოიჩინე,
 მით ეწიარე დიდებულებას.

კლოტალდო

გონივრულია შენი მსჭელობა
 და რომ ეტ სიტყვა არ დარჩეს უქმად
 დღესვე გთავაზობ მამულს სახუქრად...
 რომ არ დასციონონ შენს გულწრფელობას,
 სჭობს, გაეროდ ამ არემარეს...
 მონასტერს სთხოვე თავშესაღარი.
 მუდრო სენაკში დასამარე
 და დავიწყებ ცოდვის ზღაპარი
 შინაურ რმით, შფოთით, ცილობით
 განწირულია დღეს კოლონეთი
 და ვინ იქნება ისე უღმერთო,
 რომ გააღრმავოს მისი ჭრილობა.
 მმართებს მეფის და ტახტის მონება;
 ეს გზაა მიჩანს მე საიშედო:
 არ დავუპარგო ჰერცოგს სიყვთე,
 შენ — გიანდერძო ჩემი ქონება.
 ეს არჩევანი აწონ-დაწონე,
 დათმე ავს და დასაგმობელი;
 მამაც რომ ვიყო, დვიძლი მშობელი,
 უკეთეს ნახიჯს ვერ ჩაგაგონებ.

როსსაპურა

მამა რომ იყო, დამცირებული,
 ასეთ წყალობას რისხვად ჩავთვლიდი;
 მაგრამ უცხო ხარ და ეს მამუვიდებ.

კლოტალდო

მითხარი, რა გაქვს ჩაუკრებული?

როსსაპურა

პერცოგის მოკვლა.

კლოტალდო

ნუ გაიწუხდება,

ვის ეშუკრები! ნატრული მამაც
 სად დეჩვიე ამ სოამამებს.
 რამ აგირია გლონი?

როსსაპურა

ღირსებაში

კლოტალდო

ხვალწეგ ასტოლფო მეფე გახდება...

როსსაპურა

გამწირა, ცოცხლად დაშასამარა.

კლოტალდო

...შენი ხელმწიფე, ესტრელას ქმარი,

როსსაპურა

შუროსძიება თავს დაატუდება!

კლოტალდო

ეს სიფიფეა.

როსსაპურა

ფითონაც ვიცი.

კლოტალდო

ქკუას მოუხმე.

როსსაპურა

არ შემძლია.

კლოტალდო

დაიღუბები, ადრე თუ გვიან.

როსსაპურა

მინც ერთგული დავრჩები ფიცის,

კლოტალდო

სთქვი, რა გწადა. რას ეძებ?

როსსაპურა

სიკვილს.

კლოტალდო

ტკმერთობა.

როსსაპურა

ცოდვის განკითხვა.

კლოტალდო

უაზრობა.

როსსაპურა

განგების რძებვა.

კლოტალდო

ვერას გახდება.

როსსაპურა

ავტდები სირცხვილს.

კლოტალდო

ნუთუ საშველი არ გამოჩნდება?

უამი დააცხრობს ბრმა გახელებას!

როსსაპურა

ალარაფერი არ ეშველება?

კლოტალდო

შემწედე ვის უხმობ?

როსსაპურა

საკუთარ ნებას.

კლოტალდო

კიდევ იფიქრე: იქნება სძლიო...

როსსაპურა

რა შეიცვლება ფუჭი სიფრთხილით...

(გადის.)



კლიტალო

ერთად მოკვდებით. შეჩერდი, შეილო!
შენს გვერდით მინდა სული დაკვილი.

(გადის.)

(მთები. დაფლადის ხმა ისმის, საბრძოლო
მარშით შემოდინა ჭარისკაცები. მათ მოსდევს
კლარინი, სცენაზე გამოჩნდება სეხისმუნდო, ნა-
დირის ტყავი აცვი.)

სეხისმუნდო

ბრწყინვალე რომი განცვიფრდებოდა,
ჩვენს ხიდადებს რომ შეწყვრებოდა —
გაოცდებოდა ძველი თაობა
ამ უჩვეულო სანახაობით:

ამხოვებული ლეგიონები
ვიღაც ტყუურის სიტყვას მონუნენ,
ალარ არსებობს მისთვის სამანი
და ქუდად უჩანს! ზეცის თავანი
იუფე, სულო, დაიცხრე თინი,
აღფრთვანების გრგვიწვა-ყუთინი
ნუ გაგაბრუებს ყალბი დიდებით:
ჩამოკრავს თამი გამოღვიძების,
მოგაგონდება დრო გარდასული,
გლოვად გიქცევა ტპილი წარსული;
ვინც გამოხცადა სოფლის სიაცე,
არ შეინანებს გამჭრალ სიამებს.
(საყვირის ხმა ისმის.)

კლარინი

ქარაშოტივით მოქრის მერანი...
ო, რა ცხენია ეს სავერანე —
თეთრ ფორაჭებით მიმოქარგული,
თითქოს რუკა აქვს! ფერდზე აკრული,
ლეგა მიწა მისი სხეული,
სული — ლადარში გამომწყვდეული
ცეცხლის ალია, ტალღა — ქაფი
და ეს ქაოსი ზეთ ისწრაფვის:
სხეული, სუნთქვა, ქაფი და სული,
ნიავით, მიწით, ზღვით დაღდასმული;
რუხია, როგორც დღე ღრუბლთან,
ქედდათოვლილი, ხალეხიანი,
საოპარ ველზე არის გაწვრთნილი,
დეზების ცემით ფერგადაცილილი;
სხენს მოაგელვებს ველურ კენებით
ქალის.

სეხისმუნდო

მარბავეებს მე ეს მშვენიება.

კლარინი

როსაურაა მგზავრი იული
(გადის.)

სეხისმუნდო

ზეცის მადლია აქ ჩარეული.
(შემოდის მწყემსად ვადაცმული როსაურა:
შეიარაღებულია დაშნითა და მახვილით.)

როსაურა

დიდებულო სეხისმუნდო,
ხელი ღამე დაითმინე
და გმირული სიღაღით
ღვანლით ცისკრად აღმობრწყინდეს;
ცის მნაობად ზელდასხმული,

მეწამული გარიტრავს
ღვთიურ შუკით ასაზრდოებ
მოწიემე ვარდუკავილებს:
შენი სხივით ქანბანილი
ზღვა და კლდენი გმორჩილებენ,
მირონცხებულ გვირგვინოხანს
თავს გიბრან მწვრთვადები
და ზვირთები რკინიანს;
პოლონეთის ნათლის სვეტო,
უბედობით განაწამებ
ტანჯულ ქალსაც შეიწიე:
საბრალყო ქალის ზედერი,
ზედ დამერთო სხვა ნადველიც
და ორმაგად ევალემა
ჩრქელ მოყმეს ჩემი შველა:
ერთი პირიც მეყოფოდა
სატირლად და ხავალალოდ.
ხედმა სამჭერ შეგაგვებდრა:
სუძქერ მნახე, უცნაური
სამოსელით შექაზებული,
და სამჭერვე, გულშერქულმა,
გაოცება ვერ დაშალე.
ქერ იყო და კელურ კოშკში
მწირ კბაუკად მოგვევლინე:
ცის წყალობად მომეჩვენა
მანინ ჩემი სატიკაო.
გახსოვს? ძლევით ფრთავსხმული.
ღცხო ასულს წაეკიდე:
ის დღე მგავდა სიშურისა და
ფანტაზიის გაელვებას.
აწ მოვსულვარ შმაგ ურჩულად,
ორი ზნის და ორ ბუნების
მატარებლად: ვით მოლაშქრეს,
დაიცხ ხმალი ამიღა.
მფარველობას გეაქები;
მუხლმოდრეკით შეგავდებ
სვედაწყვეტილ არსებობას,
ნუგეში რომ გამოგწირო:
მოსკოვია არის ჩემი
ღვიძლი მხარე; დედაჩემი
მალალი წრის ასულია;
ნილამაზეს ოფთვანვე
მწუხარება დაიბედა —
შან მშვენიებით დაატყვევა
მოლატატეს ხარბი თვლი.
მამის ჩრდილიც არ მინახავს,
მაგრამ პირში მუღამ მახლავს
ვთეკატური შემართება.
რადგან მშობლის ცოცხალ ზაბად
შეუქმნივარ მე ბუნებას:
წარმართი რომ ვუფილიყავს,
ზღაპრის გმირად დავსახავდი:
ფერმუნებდი იმ ღვთებად
ოქროს წვიმად. ხარად. გედად
რომ ეწვია ნორჩ დანავს,
ევროპას და წარმტაც ლედას.
მაგრამ არ ღირს გატაცება
მიწიერი მოგონებით;

მოკლედ გეტყვი, დედაჩემო
 ვით დასჭერდა უცხო კაცის
 გულმხურვალე დაპირებას
 და ქალთაგან უტურტყვი
 დაიჩაგრა, ვით მრავალი.
 თავმოწონე დანიშნულმა
 აღუქმითა და უახლი ფიციით
 სანთელივით ჩამოაღწო.
 დღესაც იმის გზას გაჟურტებს;
 სისახტაოთ ერთობოდა,
 ვით ტროელი ენეასი,
 დაშნაც მისცა სამახსოვროდ:
 ჭერ ქარქაშში იხალბება,
 ვიდრე სათქმელს დაგასრულებ
 და შემდეგ კი გაეღლებს.
 მე სიცოცხლე მომანიჭა
 იმ ზანმოკლე შეუღლებამ,
 უიღბლოდ რომ მოსწყდა შევხას
 (არც კი ვიცო, რა დავარქვა:
 ცოლ-ქმრობა თუ შეცოდება);
 დედას ისე დავემხგავე,
 ვით სურათი ხორცუცხხმული,
 ან მწუხარე ორეული,
 ხილაშაით — მისი ჩრდილი:
 უღმობიელმა ბედის ძალამ
 სიხარული არ მაღიარა,
 მხოლოდ ხედას მაშინაა.
 ერთ ამბავსაც გააცხადებ:
 ასტოლფოა ჩემი განძი,
 დაფერფლილი სიამაყის
 უსინდისო მომხვეტელი...
 ვგრძნობ, აღმოური წამქიდა —
 გული სიმწრით შემომქნენისს,
 მოსისხლედ რომ ვაღიარებ.
 ასტოლფოა ის მძარცველი,
 სიდადრე ვინც გათელა
 (სიუვარული როცა ჭკნება,
 კედება ნაწი მოგონებას);
 პოლონეთში ქორწინდება:
 უცხო ფრანველს გაჰქრა ბრჭყალებს;
 ეხტრელა ის; საბედო,
 ის ვარსკვლავი — ჩემი მწუხრის
 ხვივაჰქრალი ჩარაღანა.
 ვარსკვლავეთის წენი არის
 შეაერთოს ორი გული —
 სიუვარულის მესაფლავებს
 მე ვარსკვლავად ვერ ვივლუნებ...
 უქომაგოდ გასრებილი,
 შეშლილი და დაწაფრული,
 მარტოობას შევეჩვიე,
 აიცი ცოცხლად დავიმარხე,
 ჩოკობუტურ ტივილისგან
 ბაზილიონის გოდოლივით
 ირყეოდა ჩემი სული;
 ნამ ვარამმა დამამუნწა;
 ზოგჯერ კირთა საამბოზნადა
 უძლურია კაცის) ენა
 და ლაღადებს მდღეობარება;

მაგრამ ერთხელ დედაჩემო.
 საცოდავი ვიოლანტე,
 ჩემს საყაში შემოიჭრა
 და შეკრდიდან აღმოშქადარი
 ბოზქარი ოხვრა-გმინვა
 უღლში გუნდად მომგზავნა.
 უსუყმანოდ გავუშუღავე
 კეშანი — ნათქვამი;
 შეცოდება ვინც იტრთოა,
 სხვის ცოდვაშიც უძევს წილი;
 თითქოს ჩემი აღსარებით
 შენდობას და ხსნას! ეწია:
 ზოგჯერ ცუდი მაგალითიც
 უნებლით მოგგრის შევხას,
 თანაგრძობობით მომისმინა,
 დამიუვავა, დამაშვიდა
 ღმობიერი შეგონებით:
 მსაჭულს ბრალი თუ ამძიმებს,
 არ გამაღლის შიტევენას.
 საკუთარი მარცხი სწავდა:
 შეიგნა უქმად კოფხას,
 ფუჭი ფამის მდინარებას,
 სასუიდელი არ ეძია,
 ვეღარც ჩემთვის გაიხარჯა:
 ესლა მითხრა: „სამარტედ
 მიმქვილი იმ მოვადეს;
 ბრძული ხერხით შეიტკბეო,
 ვინც ღირსება გამოგწირა“;
 მეც ვირწმუნე განკების ხმა
 და კაბუტის სამოსელში
 ბედს მივედო, ძველისძვილი
 ხმალი წელზე შემოვიტყე
 — სადაც არის, ქარქაშიდან
 დაიწვილებს ეს მახვილი; —
 საკიდიდან რომ ჩამოხსნა,
 დედაჩემმა ხმლის ზარნიში
 სასიკეთოდ ამოიძნო;
 პოლონეთში გამოშწავნა;
 რომელიმე დიდებული
 იარაღით გამოგარჩევს,
 მოხედავსო შენს ვაჟებს
 და სიმწარეს აგარადებს...
 ამ განწარბვით წამოკედი:
 სიტყვას აღარ გავაგრძელებს;
 კარგად იცი, ჩემმა ცენმა
 აიწვევია სადავენი —
 უღრან ტუეში შენს საკთან
 გავჩნდის როგორც მთვარეული;
 იქ კოლოტაღლმ ამალბედზე
 სიკვდილისგან გამომიხსნა:
 თვით ზელმწიფეს შემავედრა
 და შენდობაც გამოსთხოვა.
 ვინაობა გავუშუღავენი;
 ეხტრელასთან მომიძებნა
 შესაფერი სამსახური;
 შევიცვალე კვლავ იერი...
 დრო ვიზელთე; დანიშნულემწი
 სიუვარული გავუფანტე.



გაუცუდდაო ჭვარისწერა:
 მაშინ მინახე ზღმეორედ:
 ის საოხის გუგუნი ბატი
 და ორივე ჩემი ხატი
 ერთმანეთში აგერია:
 მოკლედ გიტყვი: კლოტალდოსი
 ვერაფერი გაბიგია:
 სურს ახტოღოვო ესტრელასთან
 შეაუღლოს, შეტყარს ფიცით
 და გვირგვინიც მიუღლოცოს;
 მე — სიტყვის თქმაც ამიკრძალა.

ცეცხლზე ცეცხლი მომიმატა.
 შურისგებით ანთებულხარ,
 ვით კლდის ვეფხვა უშიშარი,
 რომ დაღერწო უფუღლს ნიბის
 ეს პირქუში საპყრობილე.
 ის საკანი, სადაც გული
 გაგიბეცდა მარტოობით
 და წაშებამ გაგაქვავა, —
 მამაზე და სპიშობლოზე
 ამხედრებულს, მინდა შეველა
 შეგთავაზო; ამისათვის
 შე დიანას გამოვთხოვე
 სამშვენისი და პალადას
 ჭაბჭაჭაშანი გადავიცივი;
 აბჯარი და ტყუარი არის
 ჩემი ძვირი სამკაული.

მსურს გაუწყო მამაც ბელადს) —
 საერთო გვაქვს დღის მიზანი:
 წინ აღვუდგეთ ქორწინებას,
 შეოქმულება გავაწობლოთ
 სხვა შეუღლებს ნულარ ეძებს.
 ვინც შე საქმროდ შეგაღუნება
 დმერთმა ნუ ქნას, სამეფონი
 იშპერიად შეაერთონ
 და ორკეცი ძალისწმევით
 განსაცდელი გაგვირავლონ.

დიაკურად მოგიწოდებ:
 სამართალი გამიჩინე!
 გვირგვინისთვის თუ იბრძოდებ —
 მხარს დაგიჭერ ვაჟაკურად
 შენს წინაშე დამხოხილი,
 დიაკურად ავტირდები,
 და საომრად თუ შიახლებ.
 ვაჟაკივით გიერთგულებ.
 მაგრამ თუკი დაკინებულხს,
 უარესად დამაშვიტებ,
 ღირსეულად დაგიხვედები,
 ვით ვაჟაკთა წიხი არის;
 მაშ, უფრთხილდი ძალადობას.
 უღონოა ქალი, მაგრამ
 შეუძლია სახელისთვის
 თავი დასდოს ვაჟაკურად.

სიხისმუნდო

(ცოტოო ძალწო, თუ ისევ მძინავს.
 შეხსიერებას ნუ გამოშწირავთ —
 რალა არ ხდება: მოჩვენებათა
 რაი-რაია იმ გრძელ სიზმარში!

უფალში უწყის გამოსავალი:
 რა გზით დაეთრუნო მე ეს ხილვები,
 მღელვარე ფიჭირ როგორ დაეცხრო!
 ნუთუ მესიზმრა ეს აღზევება...
 მაგრამ ამ ქალმა ცხადი ნიშნებით
 დამისურათა ჩემი წარსული.
 მაშასადამე, სინამდვილეა;
 და თუ ასეა — მე ეს ამბავი
 არანაკლებად მიმღვრევეს გონებას, —
 ვერ გამიგია, ჩემმა სიკოცხუმემ
 რატომ შეარქვა ამას სიზმარი!
 თუმცა სიზმარს ჰგავს დიდებულება,
 ზოლო სიყალბე — კეშმარტებას,
 ფრიად სარწმუნოს — გამონაგონი...
 თითქოს სხვათა ბეწვის ხილია,
 გონებისათვის შეუცნობელი:
 კაცმა არ იქვის, ცხოველ სამყაროს,
 თუ უსხეულო ლანდებს შეჭხარის.
 ყველა საგანი ექვს ბადებს, რადგან
 ასლი ღედენისგან არ განირჩევა.
 თუკი ოდესმე უნდა მოისრას
 ჩემი მეობა, განქარდნენ სწანი,
 ბოლო მოეღოს მეფურ ზეობას,
 ძალუფლებას და სილიადეს, —
 რალა ვირწმუნო რად არ ვისმინო
 ეს უეცარი ბელის ყივილი?
 ვინც სიზმარშია, დაე დასჭერდეს
 ის! სიზმარულ ბედნიერებას.
 ჩემგან მოეღოს მსჯავრს როსაურა:
 გრძელ თილისმით ვინც დამიშონა,
 ნდობას მიხედადებს მუხლმოდრეკილი.
 ვფიცავ, ხელიდან ვერ დამისხლებას:
 სიყვარულს ბევრჯერ დაუმსხვრევია
 ღირსებისა და ნდობის კანონი.
 უბედურების ლანდი თუ ახლავს
 ყოველ ზმანებას, რა დაშავდება,
 ჯერ სიხარული რომ მომელანდოს.
 საკუთარ განსჯას არ ვეთანხმებო
 სულ სხვას ჩამძახის გრძობა — გონება!
 ეს ბაქიბუქი თუ სიზმარია,
 მოკვდავთ ზეაობას ვინ ანაცვალბს
 ღეთაებრივი, უქვნობ დიდებულებას?
 წამია სიზმრის გამონათებაც...
 ვინ არ დამტყარა ბიძოლის ყიყინის?
 მაგრამ წარსულზე დაფიქრებულო
 მსცოვანი გმირიც ამასვე იტყვის:
 სიხარად ვნახეო ამ მე დიდება!
 ამაოდ ველი მიწფერ შევბას.
 რადგან ვიცი, რომ ჩემი გულისთქმა
 თვალისმომჭრელო ცეცხლის ალია
 და მომობანევეს იმას ნიაფი,
 ოდეს კვარავით ჩაიფრფხვება...
 მარადისობავე. კვალში მოგყვები!
 შენ ხარ სიქველე გაუხუნარო,
 სხივავაშქრალი შარავანდელი
 და სიღარივ დაუროგუნველი.
 ღირსებას! ითხოვ შენ, როსაურა;
 უპირველესად პრინცს ევალბა



დაიცვას ქალის პატიოსნება.
 განგებას ვფიცავ, არ შეღირება
 თავი სამეფოდ, ვიდრე შენს სახელს
 დამკირებისგან არ გამოვიხსნი.
 რაგინდ იმძლავროს, ვერ დამიმარცხებს
 მე ეს წადილი.)—დაფდაფს დაჰპარით,
 ვანჯარახული მაქვს საომრად დავძრა
 ჩემი ლაშქარი, ვიდრე წყვდიადი
 ოქროვან სხივებს დასამარბქ
 მწვანეკავლიან გიშრის ტალღებში.

როსაპარა

ბატონო ჩემო! ხსენ დაშტოვებ?
 ნუთუ სიტყვახაც არ გაიმეტებ?
 ზურგს თუ შემაქცევ, ზის გავეუშბილო
 ჩემი წუხილი, ვინ მანუგეშებს?
 საკვირველია, ყურსაც არ მოგდებ,
 თითქოს ვერც მაჩნევ; აჰკარად გატყობ,
 მუხანათურად სახეს მარიღებ!

სიხისმუხდო

ამას მოითხოვს შენი ღირსება;
 ჭერ სისახტიკე უნდა მოვიხშო,
 გზა რომ გაუხსნას გულმომწყალებას.
 ჩემმა სინდისმა გაკეტეს პასუხი;
 რაკილა ენას არ ძალუხს შევლა,
 ჩავიკლავ სათქმელს... უკეთესია,
 ჩემი საქმენი ავაშტოველო;
 როდესაც გიშურ, უფრო ღრმავდება
 გულის ჭრილობა. რადგან ცხადია:
 ველარ ვიხილავ შენს სათნოებას,
 თუ შენს; სიტურტებს არ შეველევი.

(გაღის.)

როსაპარა

სულ დამაზნა... რა ენაღვლებია
 რამდენი ღამე განველე უძილოდ,
 ბნელი ექვები ვერ მოვიცილდე-
 ნეტაც რას ნიშნავს ეს ქარაგმები?
 (შემოდის კლარინი.)

კლარინი

ჩემო ხენიორა! ნუთუ შენა ხარ?
 როსაპარა
 კლარინ! ამდენ ხანუ სად ბრძანდებოდი?

კლარინი

სიკვდილთან ბანქოს შევექცეოდი
 მტერიან დიღეგში; უნდა გენახა,
 ის უომარაზი როგორ ვაწვადე
 ყურბზე ხახვიც ვერ დამთოლა,
 გაკახულდე ეშმას! მსახური:
 მივართვი პარასა და ნიაბურის
 ბეწვზე გადავარჩი ცოცხალი...

როსაპარა

რისთვის?

კლარინი

რომ არ წამოშედეს... კლოტალდო დარდობს,
 სხვა დიდებულებს რომ არ გაკანდო
 შენი ამბავი... თოფის ხმა ისმის!

როსაპარა

იქნებ გაგეგო, რა ხმაურია?

კლარინი

სასხლეს უტევს მემკვიდრის ჩარეუ
 მეფის მხედრობაც აქით იჩქარის,
 სენისმუნდოსთან შებმა სწყურიათ —
 განწირულია ზედადი პრინცი.

როსაპარა

თუ საფრთხეშია, რას ველოდები?
 ვის შევეწევი ლაჩრულ გოდებთ?
 წავალ, ქვეყანას გადავწევ სიმწრით
 უთუოდ წარღვნა თუ გვეშუქრება:
 არც კანონია, არც სამართალი...

(გაღის.)

ხმები

(სცენის სიღრმიდან.)

უძლეველია მეფის ხარდალი
 სხვა ხმები

ვაშა, დიდება თავისუფლებას!
 კლარინი

დამილოცინებართ ვერც და ბერიც:
 ორივეს ერთად ჭვარი გერჩიათ;
 გავძლებ უთქვენოდ, არაფერია;
 თანაც ვეცდები, რომ შესაფერი
 მუუდრო ადგილი გამოვარჩიო;
 იქ დაგნძანდები, როგორც ნერონი —
 არ დამტლებია ჭერ ისე გაიწი,
 უცნობ ცხედარზე ცრემლი ვაცრქობს;
 რა უნდა სხვისი ჭირის მოომენს.
 ამ საფარიდან მშვენიერად ვხედავ
 არტილერიას, ცხენსა და მხედარს,
 ვინ დასწრებია მსგავს წარმოდგენას
 აბეზარ სიკვდილს ცოტას ვადროვებ,
 ვიდრე ჭიუხში დაულამდება;
 კვავი ნაცარში ჩაუვარდება —
 ვიცი, რომ ისევ მშრალზე დავტოვებ.
 (იმწყდება.)

(მოსიძის დიდდაფის ხმა და სარკლის ელარნი.
 დამარცხებული ბასილიო, კლოტალდო და ას-
 ტოლფო გარბიან.)

ბასილიო

იხილეთ მეფე, ბედით ძლეული,
 ძისაგან უღვეოდ გაძეებული.

კლოტალდო

ლაშქარი, მტრისგან დამარცხებული,
 გაფანტულა და დაბნეული.

ბასილიო

უმართლებს! ორგულსი დრონი მეფობენ...

ბასილიო

ოშის კანონში ასე სწერია:
 დამარცხებული — ხალხის მტერია;
 პატიოსნება მძლეველს შეჰფერის.
 აქით, კლოტალდო, დროზე გავიქცეთ.
 არ შეგვიწყალებს მამის მგმობელი
 ძე განუსჭიდო და უღმობელი.

(სროლის ხმა. დაკრილი კლარინი კლდის
 ფერღობს ნოსწყდება.)

კლარინი

მიშველეთ!



ასტოლფო

კვდება ეს ჩარისკაცი;
ნეტავ რა ჰქვია? მეცნობა, ვგონებ...
ჩემს ფერხით გდია სისხლში მოსვრილი,
ტივილიხაგან გულშემოყრილი.

ქალბრინი

ერთი ეული და უთვისტომო
კაცი ვარ; ახჟერ შეცვალა მზარი,
სიკვდილს ვერ საიით ვერ გავუქეცი.
კვალში მდია და წინ შემეფეთა!
ამოდ ვძებნე თავშესაფარს
არც ჩადო ვიხსნის და არც სამაილი.
სულთამხუთავი თუ დაგაცხრება.
საკუთარ ქოხში ჩაგისაფრდება,
ქვეყნის კიდეზე დაგასამარებს
ხიფათი ყველგან თანასწორია,
დაბრუნდით, ლაშქარს ნუ მიატოვებთ:
შთის ბილიკებზე უფრო ხანდოა
ტყვიის ცეცხლი და ხისხლის მორევი.
ნულარ გექნებათ ამ კლდის იმედი;
გამომივლია ჰირი მრავალი,
ბედის მწერალმა თუ გაგიმტა,
რაც გიწერიათ, ის არ წგვცდებთ;
უფლის ხელშია ადამის: შეილი:
თუ სიკვდილი გაქვთ გადაწვეტილი,
ნუ ეურჩებით განგების ნებას.

(სკენის სიღრმეში ვარდება.)

ბასილიო

თუ სიკვდილი გაქვთ გადაწვეტილი,
ნუ ეურჩებით განგების ნებას!
ხრძნული აზრია! უსულო გვამმა
დაადასტურა ჩემი ეჭვების!
უსაფუძვლობა; ვაგლახ. რომ მართლაც
შორს არის ჩვენგან უწენავის ქეშმარიტება;
დაპირის ბაგეთ სიმჭრის ღიმილმა
სქმართლისაკენ გზა გაუკვლია,
დროზე გვაუწყა სისხლმდინარე ენით
ჩვენი წადილის ამოებთა:
უძლურიოა კაცის წარბავანი
უღიადები ფიქრის წინაშე!
მშვიდობა მსურდა: ვერადებოდი
შფოთს და კაცის კვლას; რა არ ვიღონე
ჩემი სამეფოს გადასარჩენად.
მაგრამ პირიქით მოხდა ყოველი.

ქლოტალდო

ბატონო ჩემო, განგების ეტლმა
აშქარად უწყის თავისი საქმე,
მიუვალ კლდეზეც მიაგნებს დევნილს;
მაგრამ ქრისტიანს როგორღა ძალუძს
იზის შტკაცება, თითქოს კაცთათვის
აღარხად სრის თავშესაფარი.
გამოსავალი მუდამ ქარხნობს:
ძვირად აფახებს თავის სიწოცხლეს
ვაჟკაცი, ომში დაბრუნებული.
უშმაშის მარცხსაც არ შეუდრება,
განსაცდელს ბერხით გაუმკლავდება.

ასტოლფო

ბატონო ჩემო, კლოტალდოას რჩევას

ვერ დაუწუნებ; იხე განხაჟა,
ვით დარბაისელ გამარჯვებულს;
შიში არ ვცივ; ჰმაბუკურ სათქმელს
ახლავ გაგანდო: ამ კლდის ფერდობზე
უხიერ ტვერში ცხენი დაგხვდება:
ქორ-შავარდენიც ვერ მიეწევა,
ნიაჯარია მისი მშობელი:
გაბჭუსლი, მღვევარს მე შევაყვონებ.

ბასილიო

თუ აღსასრული ახლავ მომელის,
სიკვდილი თუ მაქვს გადაწვეტილი.
სადღა წვადიდ? უმჭობესია.
წინ შეეცდებო! მე მზად ვახლავარ.
(დაფლდვის წმი. ისმის.)

(შემოდინ. სუბსიმუნდო. ესტრელა, როსაურა
და ჩარისკაცები.)

სემისმუნდო

ტყეს შეაფარა ხელმწიფემ თავი,
ხადმე შექნარაში თუ იმადება —
გაჩხრიცი ეს შთა! უვლადმ მოძებნეთ!
კარგად დაწვერეთ ყოველი ბორცვი,
ეუნძო არ დაგრჩეთ შეუნიშნავი,
ყველა ბუჩქი და ტოტი გახიჩქეთ.

ქლოტალდო

აჩქარდი, სენიორ!
ბასილიო
რისთვის?

ასტოლფო

რას უციდ?
ბასილიო
ჩამომეცაღე, ასტოლფო.
ქლოტალდო
საით?

ბასილიო

დამნაშავე ვარ შეილთან, კლოტალდო;
გამოვიყვდი ჩემს შეცოდებას.
(სუბსიმუნდოს.)

ნულარ დამეძებ, აჟა ვარ, პრანცო!
პატიებას გთხოვ მუხლმოდრეკილი:
ფეხქვეშ გაგიფენ ამ ჩემს ჰალარას
სპეტაკ ხალიჩად: რაღას უდგებაჩ?
ქუსლი დამადგი ქედზე და თავზე
გადამახსვრეი ოქროს გვირგვინი;
გააცამტვერე ჩემი დიდება,
დაამხე ჩემი ძალმოსილება,
ნულარ მიხედავ მეფურ ღირსებას,
ტყვედ წამოყვანე ბორკიდაყვრილი;
დაე აღსრულდეს ცის განაჩენი,
აღსრულდეს ბედის შურისძიება.

სემისმუნდო

ბრწყინვალე შეილნო კოლონეთიქა,
განსაცარი უამის მხილველნო,
პრანცი ხაჩაროდ ამას გაუწყებთ:
ზეცის კანონით რაც გარდაწუდება,
რაც უფლის ხელით დაიწერება
ლაყვარლზე ოქროს ნიშან-ხატება —
სარწმუნოც არის და შეუცვლელიც.
ყალბი ის არის. ვინც შეცდება

სიავით ზეუღოს კერძობრივად
და ღვთის განაჩენს გზა გაუშრუდოს.
აქ არის ჩემი მშობელი მამა,
ვინც მე ტყუარად მხეცად მაქცია —
სტიქიის რისხვას ეკრძალებოდა
ბედის მუქარით შეშფოთებული:
რაც უნდა იყოს, შვიც წმიდა სისხლის
დიდებულთ ვარ, კეთილშობილი
სამეფო გვარის შთამომავალი:
თუნდ მამა-პაპის დინჯი სიქველი,
თვინიერება გამოშეულოდა,
ასეთი აღწრდა წინების ბეჭედს
მანაც წაშლიდა: თვით სათნოებას
ააქანებდა, ქარს გააქუვებოდა
თანდაყოლილი ყველა სიკეთე.
ვის გაუწვრთნია ასე სიმშაგვი!
მავანი კაცო რომ გააფრთხილონ:
მთვლემარე ურჩხულს ნუ გაახლებენ.
სულს ამოგდისო შენ ეც ცხოველი, —
ვინ დააჩქარებს თავის აღსარულს,
თავის სულთამხედებს ვინ გააღვიძებს?
თქვეთვის რომ ეთქვათ: წელს რომ გარტყა
ბასრი მახვილი, სიცოცხლეს შენვე
დავიხნელებსო, — ნუთუ სიცოცხლის
გადსახარენად უმაღ დაბაზე
ხელს იტაცებდით და იმ მახვილზე
შეშველი მკერდით აეგებოდით?
ვისი ცხოვრებაც განგების ნების
ოკეანეში უნდა დასრულდეს,
ვინც წყალს იგულებს ვერცხლის სამარედ,
მღელვარე ზღვაში თუ გადახტებო.
როცა თოვლისფერად აქაფებული
ქორჩოა ტალღა ტალღას აწყდება,
წვირილი იფშენება ბროლის შეხფებად?
მამაჩემს სწორედ ეს დაეშარათა:
დაუფიქრებლად გამოადვიდა
მხეცი. რომელიც შთათქმას უქადადა.
არ ენდო ქარქაშს და გააშიშვლა
სახედისწერო ბასრი მახვილი:
ამოხოქრებულ ზღვას მისცა თავი;
თვითონ განსაქეთ, რას გახდებოდა
უსამართლობით, მიძინებული
მხეცი თუ იყო ჩემი წვაობა,
სიფიცხე — ხმალი, ომში უფვრთნელი,
ავაკობა კი — უქარო ზღვაზე
წვირით, საავდროდ გაშაადებული?
სიკერპით საქმე სულ გააშწავა!
ბრმა სისასტიკით ბედის ძალაზე
ვერ იზვიებ; ის გაიმარჯვეს,
ვინც მოთმინებას სიბრძნით გახედნის.
სანამ ზიფათი შოგეწოდებს,
თავს უშველეთ — ბევრიც გირჩიონ,
გინდაც ირწმუნო საშიშროება,
განსაცდელს ვერსად დამალები;
მიუსავლეთშიც რომ გაიბონო,
იქნება კირმა ეჭაწ შოგაგნოს,
გამოგაცალოს ყველა საყრდენი
და ოთხეც კუთხით გზეში დაგისშოს.

სამაგალითო იქნება თქვეთვის
ეს წარმოდგენა; ეს უცნაური
და საწარელი სანახაობა —
ან კი ამაზე გახაოცარი
რა უნდა იყოს: ქვეყანა შეძრა
ჩემმა მშობელმა და საბოლოოდ
შეწყალდება მოხვს გულქვა მონარქი,
დამციარებული და გათვლილი;
წეცირთია ეს განაჩენი:
თვითონ ხელმწიფემ ვერ აირიდა
ცის სამართალი: მე რაღა მიხსნის?
სად შევედრები მეფეს სიქველით,
ქალარა წვირით, განსწავლულობით?
ბატონო ჩემო, ფეხზე წამოდექ,
მომეცი ხელი... თუ გაგიტყუნა
წეცამ იმედი, იქმარე მარცხი:
მნელი არ არის დღეს ამ შეცდომის
გამოსწორება; გემორჩილები,
მიდაბლად ქებს გიბრა და დავეშობი
ახლავ შენს ფერხით, ვით ძეს შეშვენს.

ბასნილი

ჩემო ვაჟკაცო, — დიდხლოვნებით
მოინადირე ღვიძლი მშობელი;
ვით პრინცს შეშვენის, ისე იქვეცი,
ხოტბის ღირსი ხარ, დამსახურე
დაუნის გვირგვინი: წეიმი გმართებს.
საკვირველია შენი საქმენი.

ყველანი

ვაშა, დიდება პრინც სეხისმუნდოსს
სმჩინსმუნდო
რაკილა დადგა სულის წეობის
ღიადი წამი, საკუთარ თავზე
გამარჯვებაა უპირველესი
ჩემი მიზანი; რად არ გაუწვდით
ხელს როსაურას, ასტოლფო? ვიცი,
ვალად რომ გადეთ ქალის; ღირსება:
ნისურს აღვადგინო მისი სახელი.

ასტოლფო

ვალი მამიძებს, ცხადია, მაგრამ
ნუ გავიწყდებათ, ერთი უგვარო
და უთვისტომო ქალი რომ არის!
მე ვერ ჩავიდედ ასეთ სიმდაბლეს,
ეს საშურცხვინო ქორწინება ზომს...

კლოტალდო

შესდექ ასტოლფო. ნუ აჩქარდები;
ვერ დაიწყუნებ შენ როსაურას,
შეგფერება გვარიშვილობით
დაშნით დავიცავ მე ამ სიშართლეს:
ჩემი სისხლია, ჩემი ასული!

ასტოლფო

რას ამბობ?

კლოტალდო

სანამ არ გავაოხოვებ.
ვით მაღალი წრის ასულს შემფერის,
არ გავაშუღავებ ამ საიდუმლოს,
თან საამბობლად შეტად გრძელობა;
შვილია-მეთქი, აკი გითხარო.



ახსოვლო

ეთოლი: მაშინ აღარ გადავალ პირობას.

სმენისმუნდო

რადგან გულსევდიანი ღარჩა ესტრელა — მან ზომ დაქარგა ეთოლშობილი, მამაცი პრინცი — შე მას ღირსეულ საქმროს ვთავაზობ: თუ ვერ დარდილავს პირველ დანიშნულს ხარისხითა და ქალაუფლებით. არ ჩამორჩება, ხელი მომეცი.

მსტრქელა

ახეთ აღბაღზე არც მიფიქრია.

სმენისმუნდო

ჩემო კლოტადლო! გულში ჩაგიკრავ მადლიერებით, რადგან მამჩემს ერთგულ სამსახურს უწევდი მუდამ; არ დავიშურებ შენთვის წყალობას.

მრთ-მრთი ჯბარისქუცი

იმ კაცს თუ სწყალობ, ვინც სამსახურში უარი ვითხრა, შე რას მიზოდებ? წთელი სამეფო შეეწარიალი, პტიმრობიდან ძლივს დავიხსენი, გამოვიყვანე წყუელ კოშკიდან...

სმენისმუნდო

შენთვის ის კოშკი მიზოდება და ხაიმედო გუშაგნი მცველად,

რომ სიკვდილამდე ვერ გამოხვიდე; როცა ლალატი უკვე დასრულდა, მოლაღატენი ვილას სჭირდება?

ბასნილი

შენი გონება უველას გვანცვიფრებს.

ახსოვლო

არ შევწრებივარ ასეთ ცვლალებას.

როსაურა

ო, რა სიბრძნეა, რა სათნობა!

სმენისმუნდო

რამ გაგოცათ, ნეტავ რა გიკვირო. სიწმარე იყო ჩემი მოძღვარი; შიში დამჩემდა, ვერ მოვიშორე მძიმე ნაღველი: არ მინდა ისევ ნაცნობ დილეგში გამოვიღვიძო... ცხადში თუ არა, სიწმარეში მაინც ზომ შეიძლება ჩემი საკანი რომ მომელანდოს? მივხვდი, რომ კაცის ბედნიერება წმანებასა ჰგავს და სიწმარეით მალე გაქრება: ამიტომ ჩემი კუთვნილი ეამი უნდა დავწოგო, რომ შეწყალება ვითხოვო თქვენგან: შემინდეთ ჩემი შეცოდებანი; მიტყუება ზომ ღვთიური წნეა მადლით ცხებულთა.

დასასრული

გადაეცა წარმოებას 7. 07. 92 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 9 10 92 წ.

საბეჭდი ქალაქი 5,25, ქალაქის ფორმატი 70x108^{1/16}, ფიზიკური ნაბეჭდი თაბახი 11,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 19,65. შეკვეთა 1303. ტირაჟი 2000.

ქრნალში დაბეჭდილია მ. ხაბოვის და ი. კვაჭანტირაძის ფოტოები.

რედაქცია ზოდის უზდის ბელახომწერლებს ქალაქის დეფიციტის გამო გაორუბული ნომრებისათვის